

შპს „ახალი უმაღლესი სასწავლებლის“
ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და
მექანიზმები

2018


წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებულია შპს „ახალი უმაღლესი სასწავლებლის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, დაინტერესებული პირების ჩართულობით და განკუთვნილია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესებში ჩართულ პირთათვის.

ახალი უმაღლესი სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა

ახალი უმაღლესი სასწავლებლის (შემდგომში „სასწავლებლის“) ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ემსახურება სასწავლებლის მისიის განხორციელებას და წარმოადგენს მისი სტრატეგიული მენეჯმენტის ნაწილს. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ემსახურება სასწავლებლის სტრატეგიული მიზნების მიღწევას. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკაში ჩართული არიან შიდა და გარე დაინტერესებული მხარეები.


ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, თანამშრომელთა და დაინტერესებული პირების ჩართულობით შეიმუშავებს და ავითარებს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკასა და მექანიზმებს და პერიოდულად განიხილავს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურობას. სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა საჯაროდ ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის.

სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ითვალისწინებს გარე მარეგულირებელი ჩარჩოს მოთხოვნებს, ასევე სასწავლებლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს და შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების ინტერესებს.



სასწავლებელი თავისი მიზნების მისაღწევად შეიმუშავებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებსა და პროცედურებს, რომელსაც გამოიყენებს მის მიერ შეთავაზებული სერვისების პერიოდული და სისტემური შეფასებისა და მუდმივი განვითარებისთვის.

სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება ციკლურ პროცესს (დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და გაუმჯობესება).



ახალი უმაღლესი სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ძირითადი მიზნებია:

- სასწავლებლის საქმიანობის ყველა ასპექტის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა;
- სასწავლებლის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა;
- სასწავლებლის ადგილობრივი და საერთაშორისო ცნობადობისა და აღიარების ხელშეწყობა;
- სასწავლებლის ყველა რგოლის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობის ზრდა;
- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში შიდა და გარე დაინტერესებული პირების ჩართულობის უზრუნველყოფა.

სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ეფუძნება ისეთ პრინციპებს, როგორიცაა:


- უწყვეტი განვითარება;
- გამჭვირვალობა;
- ანგარიშვალდებულება.

სასწავლებელში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას და მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს, პერსონალის (აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე) საქმიანობის შეფასებას, სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმებს.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების მეშვეობით შეფასების შედეგების ანალიზზე დაყრდნობით მიიღება გადაწყვეტილებები სასწავლებლის საქმიანობის შემდგომი სრულყოფისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა დაფუძნებულია უწყვეტ განვითარებაზე და მოიცავს: საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვას, შემუშავებას, განხორციელებას, შეფასებასა და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით მის შემდგომ განვითარებას.



უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფისთვის გამოიყენება როგორც შიდა, ასევე გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს შეიმუშავებს და ახორციელებს სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მიზანია, დადგინდეს პროგრამის შესაბამისობა დადგენილ მიზნებთან, სტუდენტებისა და საზოგადოების მოთხოვნებთან და საჭიროებებთან.

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა იწყება პროგრამის შემუშავების ფაზაზე. ამისთვის სასწავლებელს შეიმუშავებული აქვს **საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების, განვითარების პოლიტიკა და დამტკიცების პროცედურა (დანართი 1)**. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში, ისევე, როგორც მის განვითარებაში მონაწილეობას ღებულობს სასწავლებლის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, დამსაქმებლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფისთვის (პროგრამის შემუშავების ეტაპზე) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ასევე შეიმუშავებს საგანმანათლებლო პროგრამების (დანართი 2), სასწავლო გეგმისა (დანართი 3) და სასწავლო კურსების სილაბუსების (დანართი 4) სარეკომენდაციო ფორმებს, რომლითაც ხელმძღვანელობს აკადემიური თუ მოწვეული პერსონალი სილაბუსისა თუ პროგრამის შემუშავებისას.

გარდა სარეკომენდაციო ფორმებისა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულია სასწავლო კურსების სილაბუსებისა (დანართი 5) და საგანმანათლებლო პროგრამების (დანართი 6) შეფასების ინსტრუქცია. აღნიშნული ინსტრუქციები ეხმარება პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს სრულყოფილად, ყველა შესაბამისი მოთხოვნის დაცვით შეავსონ სარეკომენდაციო ფორმები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო კურსების ტექნიკურ ექსპერტიზას და მათი შესაბამისობის დადგენას სასწავლებელში მოქმედ მოთხოვნებთან თუ აკრედიტაციის სტანდარტებთან ახდენს საგანმანათლებლო პროგრამის (დანართი 7) და სასწავლო კურსის სილაბუსის (დანართი 8) შეფასების ფორმების მეშვეობით.

რაც შეეხება პროგრამის კონტექსტუალური მხარის შეფასებას, მას ახდენს პროგრამის განვითარების ჯგუფი და ფაკულტეტის საბჭო, სანამ პროგრამა წარედგინება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

სასწავლებელში მოქმედი პროგრამების განხორციელების მუდმივი შეფასებისა და განვითარების მექანიზმები მოიცავს პროგრამის შეფასებას როგორც აკადემიური/მოწვეული პერსონალის, ასევე სტუდენტებისა და გარე დაინტერესებული პირების მიერ (დამსაქმებლები/კურსდამთავრებულები), მათი კმაყოფილების კვლევას და პროგრამის რაოდენობრივი მაჩვენებლების ანალიზს.

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებამ უნდა გამოიწვიოს პროგრამის უწყვეტი გაუმჯობესება. შეფასების შედეგები უნდა ეცნობოს ყველა დაინტერესებულ მხარეს.

შეფასების შედეგების საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის.

პროგრამის განხორციელების შეფასების მექანიზმები მოიცავს:

- **სტუდენტების პერიოდულ გამოკითხვას;**

ახალი უმაღლესი სასწავლებელი ახორციელებს სტუდენტთა გამოკითხვას, რომელიც მოიცავს: სტუდენტების მიერ ლექტორებისა და სასწავლო კურსების შეფასებას (დანართი 9), რომელიც ტარდება ყოველი სასწავლო სემესტრის დასასრულს და სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლებლის ინსტიტუციურ შეფასებას (დანართი 10). სტუდენტთა ანკეტურ გამოკითხვასთან ერთად, პერიოდულად ტარდება სტუდენტთა ფოკუს-ჯგუფები.

- პროფესორ-მასწავლებლების პერიოდულ გამოკითხვას (დანართი 11);
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვას (დანართი 12);

კურსდამთავრებულთა გამოკითხვის მიზანია, შეაფასოს კურსდამთავრებულთა კმაყოფილება პროგრამასთან მიმართებაში, ასევე მათი დასაქმების/სწავლის გაგრძელების მაჩვენებლის კვლევა.

კურსდამთავრებულთა გამოკითხვასთან ერთად, ივსება **ინფორმაცია კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ (დანართი 13)**

- **დამსაქმებლების გამოკითხვას (დანართი 14);**

დამსაქმებელთა გამოკითხვის მიზანია, შეაფასოს შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნები პროგრამის კურსდამთავრებულების მიმართ, ასევე მათი მოლოდინები და მათი მხრიდან დასაქმებული სტუდენტების/კურსდამთავრებულების შეფასება.

- **პროგრამის ყოველწლიურ თვითშეფასებას (დანართი 15);**

პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის განვითარების ჯგუფთან ერთად, შემუშავებული ფორმის მიხედვით ყოველწლიურად ახდენს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებას, რომელიც მოიცავს მისი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების ანალიზს, პროგრამის შეფასების შედეგების ანგარიშის ანალიზს, პროგრამის რაოდენობრივი მაჩვენებლების ანალიზს, ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ცვლილებების შესახებ და ა.შ. პროგრამის ყოველწლიური თვითშეფასება მოიცავს პროგრამის შეფასებისთვის საჭირო რაოდენობრივ მონაცემებს, მათ შორის: სტუდენტთა რაოდენობას, ინფორმაციას მათი პროგრესისა და განთესვის შესახებ, კურსდამთავრებულთა რაოდენობას (მათ შორის, განსაზღვრულ ვადაში დასრულების) და სხვ.

- **ლექცია/ჯგუფში მუშაობაზე პერიოდულ დასწრებას (დანართი 16);**

სასწავლებელში შემუშავებულია ლექცია/ჯგუფში მუშაობაზე კოლეგიური ურთიერთშეფასების ფორმა. ლექციაზე/ჯგუფში მუშაობაზე ურთიერთდასწრების პროცედურას წარმოადგენს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად. პროცედურის მიზანია აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს შორის გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება, სწავლა/სწავლების პროცესის არსებული მდგომარეობის შეფასება, საჭიროებების დადგენა და შესაბამისი სამომავლო ღონისძიებების დაგეგმვა (მაგ. ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები, სხვ.). ასევე, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება და წახალისება.

- **სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზს.**

სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი მოიცავს გაუსის განაწილების ანალიზს პროგრამის ინდივიდუალური სასწავლო კურსებისთვის და პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზს.

აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ანალიზის შედეგად, შეიძლება გაიცეს შემდეგი რეკომენდაციები:

- სწავლება-სწავლის მეთოდების ცვლილება;
- შეფასების ფორმებისა და მეთოდების გადახედვა/ცვლილება;
- სასასწავლო კურსის შინაარსის გადახედვა.

ადამიანური რესურსების - პერსონალის (აკადემიური/მოწვეული/ადმინისტრაციული) საქმიანობის შეფასება

აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და ხარისხის უზრუნველყოფისთვის გამოიყენება **პერსონალის თვითშეფასების ფორმა (დანართი 17)**.

თვითშეფასების გარდა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებაში შეიძლება გამოყენებულ იქნას:

- სტუდენტის შეფასების შედეგები;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები;
- ლექტორის მიერ ჩატარებულ ლექციაზე/სამუშაო ჯგუფზე დასწრება.

ადმინისტრაციული პერსონალის შეფასებისთვის გამოიყენება **ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების ფორმა (დანართი 18)**.

ლექტორის შეფასებისთვის შემუშავებულია სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის/ლექტორების შეფასების ფორმა, ანონიმური გამოკითხვა ტარდება წელიწადში ორჯერ.

შეფასების შედეგები ეცნობება ლექტორსა და პროგრამის ხელმძღვანელს და საჭიროების შემთხვევაში, გაიცემა რეკომენდაციები.

სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, სერვისებისა და მართვის ეფექტურობის შეფასება

სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეფასებისთვის გამოიყენება ფორმა (დანართი 19), რომელიც ივსება ყოველწლიურად და მოიცავს ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების შესახებ. რესურსებისა და არსებული სერვისების ეფექტური შეფასების მეთოდია ასევე სტუდენტების გამოკითხვის ფორმები.

რაც შეეხება მართვის ეფექტურობის შეფასებას, ახალ უმაღლეს სასწავლებელში ის დაფუძნებულია ანგარიშებისა და თვითშეფასების პრინციპზე, კერძოდ, ყველა სამსახური ყოველწლიურად წარადგენს ანგარიშს გაწეული სამუშაოს შესახებ (დანართი 20). ამასთან, სასწავლებელში ხორციელდება სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების მონიტორინგი.

სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგის მექანიზმები გაწერილია სასწავლებლის სტრატეგიული განვითარების გეგმაში, ასევე, სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიასა და მონიტორინგის მექანიზმებში.

მონიტორინგი გულისხმობს დაწესებულების საქმიანობაზე დაკვირვებას და დაკვირვების შედეგებზე დროულ და ეფექტურ რეაგირებას.

მონიტორინგის მეშვეობით შესაძლებელია სასწავლებლის საქმიანობაში არსებული შეუსაბამობებისა თუ ხარვეზების აღმოჩენა და მათზე დროული რეაგირება.

მართვის ეფექტიანობის შეფასება გულისხმობს ადამიანური რესურსების შეფასებასაც, რა მოიცავს როგორც ადმინისტრაციული პერსონალის შეფასებას (დანართი 18), ასევე სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიერ ადმინისტრაციული პერსონალის/სტრუქტურული ერთეულების შეფასებას. პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგები ასევე გამოიყენება მართვის ეფექტურობის შეფასებაში.

ცხრილი 1 - სისტემური გამოკითხვებისა და შეფასებების დროის ჩარჩო

	თვე												განმახორციელებელი / პასუხისმგებელი
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	
სტუდენტთა მიერ სასწავლო კურსების და პროფესორ- მასწავლებლების შეფასება													ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
სტუდენტთა გამოკითხვა - პროგრამებითა და სერვისებით კმაყოფილების კვლევა													ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
პროფესორ- მასწავლებლების გამოკითხვა													ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, HR
კურსდამთავრებულთა გამოკითხვა													ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური
დამსაქმებელთა გამოკითხვა ¹													ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელი
პროგრამის ყოველწლიური თვითშეფასება													პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის განვითარების ჯგუფი
კოლეგიური ურთიერთდასწრება													სასწავლო პროცესის მართვის სამსახური
სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი													სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
აკადემიური პერსონალის თვითშეფასება													პროგრამის ხელმძღვანელი, HR, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
ადმინისტრაციული პერსონალის შეფასება													HR
მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასება													მატერიალური სამსახურის უფროსი
საქმიანობის წლიური ანგარიშის წარდგენა													რექტორი

დანართი 1

¹ დამსაქმებელთა გამოკითხვა ტარდება ორ წელიწადში ერთხელ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის,
შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია და
დამტკიცების პროცედურა

მუხლი 1. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი

1. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა (შემდგომში – პროგრამა) უნდა აკმაყოფილებდეს წინამდებარე დოკუმენტით დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებს და მასში მითითებული უნდა იყოს:

- პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად);
- უმაღლესი განათლების საფეხური;
- მიმართულება;
- მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად);
- სწავლების ენა;
- პროგრამის მოცულობა კრედიტებით (სასწავლებლის საერთო სავალდებულო, სასწავლებლის საერთო არჩევითი, სპეციალობის სავალდებულო, სპეციალობის არჩევითი, თავისუფალი კომპონენტები და სხვ.);
- პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები;
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები;
- პროგრამის სტრუქტურა;
- პროგრამის მიზანი;
- სწავლის შედეგები;
- სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები;
- სტუდენტის მიღწევების შეფასება;
- პროგრამის შესაბამისობა მისიასთან;
- დასაქმების სფეროები და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა;
- სასწავლო გეგმა, სწავლების ორგანიზების თავისებურებების მითითებით;
- სასწავლო კურსების სწავლის შედეგების რუკა;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- სწავლის შედეგების რუკა (კურიკულუმის რუკა);
- საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი;
- მატერიალურ-ტექნიკური რესურსი.

2. საგანმანათლებლო პროგრამას ასევე უნდა ახლდეს:

- სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);
- ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ (გვარი, სახელი, სტატუსი (აკადემიური თანამდებობა/სამეცნიერო თანამდებობა/მოწვეული სპეციალისტი);
- ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ დანართის სახით;
- პროგრამის დამტკიცების აქტი.

მუხლი 2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

1. პროგრამის სახელწოდება შესაძლებელია არ ემთხვეოდეს მისანიჭებელ აკადემიურ ხარისხს/კვალიფიკაციას.
2. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის (შემდეგში - პროგრამა) კვალიფიკაციის სახელწოდება უნდა მოიცავდეს ტერმინს – „ბაკალავრი“, შესაბამისი მიმართულების და/ან დარგის/სპეციალობის მითითებით.

მუხლი 3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით

1. ბაკალავრიატის სწავლების საფეხური მოიცავს მინიმუმ 240 კრედიტს.
2. ძირითად მაპროფილებელ სპეციალობას, რომელშიც ენიჭება სტუდენტს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი უნდა დაეთმოს მინიმუმ 120 კრედიტი.
3. საბაკალავრო საფეხურზე დასაშვებია, სტუდენტმა სასწავლო კურსები აირჩიოს სხვა პროგრამაზე (მაქსიმუმ 60 კრედიტის ფარგლებში);
4. საბაკალავრო პროგრამაში კრედიტები უნდა განაწილდეს შემდეგი მოცულობით: სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები - არანაკლებ 120 კრედიტი (გარდა რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამებისა);

სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში:

- სასწავლებლის საერთო სასწავლო კურსები 30-50 კრედიტი, მათ შორის უცხოური ენა – მინიმუმ 20 კრედიტი;
- საბაკალავრო ნაშრომი 5-10 კრედიტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- პრაქტიკა 5-10 კრედიტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- პროექტი 5-20 კრედიტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- თავისუფალი კრედიტები 20-60 კრედიტი;

5. პროგრამაში მითითებული უნდა იყოს სავალდებულო (სასწავლებლის საერთო და სპეციალობის) და არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა).
6. პროგრამის შემუშავების პროცესში გამოყენებულ უნდა იქნას ECTS კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სახელმძღვანელო პრინციპები.

მუხლი 4. სწავლების ენა

1. პროგრამაში უნდა მიეთითოს რომელ ენაზე ხორციელდება პროგრამა.

მუხლი 5. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

1. დაშვების წინაპირობის განსაზღვრის მიზანია პირის წინასწარი კომპეტენციების იდენტიფიცირება, რათა შესაძლებელი იყოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.
2. ფაკულტეტის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია, არსებობდეს ამა თუ იმ პროგრამაზე სტუდენტთა მიღების დამატებითი წინაპირობები.
3. დამატებითი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, სტუდენტების შერჩევის პროცედურა უნდა იყოს ღია, გამჭვირვალე და სამართლიანი, რაც სპეციალური რეგულაციებით უნდა განისაზღვროს.

მუხლი 6. სწავლის შედეგი

1. სწავლის შედეგი ჩამოყალიბებული უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ნათლად და უნდა ასახავდეს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს (ცოდნა და გაცნობიერება), რისი გაკეთება უნდა შეეძლოს (ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, დასკვნის, კომუნიკაციის და სწავლის უნარები) და რა ღირებულებები უნდა ჰქონდეს პირს პროგრამის დასრულების შემდეგ.
2. სწავლის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს უმაღლესი განათლების შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.
3. სწავლის შედეგებში უნდა აისახოს ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერისა და კონკრეტული დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
4. სილაბუსში უნდა მიეთითოს მხოლოდ ის კომპეტენციები, რომელთა გამომუშავებასაც მიზნად ისახავს შესაბამისი კომპონენტი.
5. პროგრამაში უნდა მიეთითოს ინფორმაცია სწავლის გაგრძელების შესაძლებლობებზე.

მუხლი 7. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

პროგრამაში უნდა მიეთითოს სწავლებისა და სწავლის მეთოდები, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. სწავლებისა და სწავლის მეთოდების მითითების დროს სასურველია გამოყენებულ იქნას მეთოდები ამა თუ იმ მიმართულების/დარგის/ქვედარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.

მუხლი 8. სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების სისტემა

1. სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევა უნდა გამოიხატებოდეს დადებითი შეფასებით.
2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას.
3. სასწავლო კურსის შეფასება უნდა განხორციელდეს 100-ქულიანი სისტემით.
4. დაუშვებელია დასკვნითი გამოცდის შეფასება 40 ქულაზე მეტით.

5. სასურველია გამოყენებულ იქნას სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო შეფასების კომპონენტები და მეთოდები ამა თუ იმ მიმართულების/დარგის/ქვედარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.

მუხლი 9. სასწავლო გეგმა, სილაბუსი

1. პროგრამის სასწავლო გეგმა უნდა მოიცავდეს ყველა კომპონენტს, რომელშიც ხდება კრედიტების მინიჭება. გარდა ამისა, სასწავლო გეგმაში მოცემული უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია: სასწავლო კურსის სახელწოდება, კრედიტების მოცულობა, სტუდენტის საათობრივი დატვირთვა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების ჩათვლით), სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები, სწავლების სემესტრი და სხვ. (სასწავლო გეგმის სარეკომენდაციო ფორმა: დანართი 1).
2. კომპონენტის მითითებისას უნდა აღინიშნოს: სახელწოდება, მოცულობა კრედიტებით, სტუდენტის დატვირთვის სახეები.
3. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უნდა უზრუნველყოფდეს მისი შემადგენელი ყველა კომპონენტის ლოგიკურ კავშირს.
4. სასწავლო გეგმაში მითითებული არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობის ჯამი უნდა აღემატებოდეს არჩევითი საგნებისათვის პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების საერთო რაოდენობას.
5. სასწავლო გეგმას თან უნდა დაერთოს პროგრამის რუკები, რომელიც მოიცავს პროგრამის ყველა კომპონენტს და მათ ურთიერთმიმართებას პროგრამით გათვალისწინებულ კომპეტენციებთან.
6. სასწავლო კურსის სილაბუსში მიეთითება:
 - პროგრამის სახელწოდება;
 - უმაღლესი განათლების საფეხური;
 - სასწავლო კურსის სახელწოდება;
 - ავტორ(ებ)ი/განმახორციელებელ(ებ)ი;
 - სასწავლო კურსის სტატუსი;
 - სწავლების სემესტრი;
 - სწავლების ენა;
 - წინაპირობები;
 - ECTS კრედიტი;

- სტუდენტის სასწავლო დატვირთვა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები);
- ავტორ(ებ)ი, განმახორციელებელი/განმახორციელებლები;
- კონსულტაცია;
- სასწავლო კურსის მიზანი;
- სწავლის შედეგები;
- სწავლება-სწავლის მეთოდები;
- სასწავლო კურსის შინაარსი;
- სტუდენტის მიღწევების შეფასება;
- შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები;
- სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა/ სხვა სასწავლო მასალა;
- ინფორმაცია სტუდენტებისათვის.

მუხლი 10. ადამიანური რესურსი

1. პროგრამა ხორციელდება ადამიანური რესურსით, რომელშიც შედის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი.
2. პროგრამას უნდა დაერთოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების ბიოგრაფიული მონაცემები (CV).
3. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია, რაც შეიძლება დადგინდეს ამ პირის აკადემიური ხარისხით, მიღებული სპეციალური განათლებით, პუბლიკაციებით და/ან პროფესიული გამოცდილებით.

მუხლი 11. პროგრამის ხელმძღვანელი/ ხელმძღვანელები

1. პროგრამას შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სასწავლებლის შესაბამისი დარგის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.
2. პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები პასუხისმგებელია სილაბუსების ხარისხსა და ზოგადად ხარისხის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობაზე.
3. პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები წარმოადგენს ფაკულტეტისა და სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ძირითად საკონტაქტო პირს, რომელსაც ეცნობება პროგრამის შიდა და გარე შეფასების, ტექნიკური

მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის შედეგები და ევალუა მათზე რეაგირება პროგრამის სრულყოფის მიზნით.

4. პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები:
 - უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამისობას ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან; პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობას პროგრამის დარგობრივი სტანდარტის (არსებობის შემთხვევაში) შინაარსსა და მიზნებთან; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და პროგრამის ურთიერთშესაბამისობას;
 - იძლევა რეკომენდაციებს პროგრამის განსახორციელებლად პერსონალზე აკადემიური დატვირთვის განაწილების შესახებ, ასევე საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მოწვევას;
 - ატარებს პროგრამის განხორციელების სისტემატურ მონიტორინგსა და ანალიზს;
 - აქტიურად თანამშრომლობს დამსაქმებლებთან, დარგის სპეციალისტებთან, პროფესიულ ასოციაციებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან, შრომის ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისად პროგრამის განახლების მიზნით;
 - ჩართულია მობილობის (შიდა და გარე) მსურველი სტუდენტების კრედიტების აღიარების პროცესში;
5. პროგრამის შედგენასა და მის განხორციელებაში მონაწილე პირები ანგარიშვალდებულები არიან პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების წინაშე;

მუხლი 12. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

პროგრამას უნდა დაერთოს ინფორმაცია შესაბამისი პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ. პროგრამის ბიუჯეტის პროექტს ფაკულტეტის საბჭოსთან ერთად შეიმუშავენ სასწავლებლის ფინანსური სამსახური, რომელსაც შემდგომ განიხილავს აკადემიური საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს რექტორს.

მუხლი 13. პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება და განვითარება

1. პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების პროცესი ეფუძნება ღია, გამჭვირვალე და ურთიერთთანამშრომლობით პროცესს, რომელშიც შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ყველა დაინტერესებულმა მხარემ.
2. პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდაჭერის მიზნით, პროგრამის/პროგრამების აკრედიტაციის ვადით იქმნება საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების სამუშაო ჯგუფი (შემდგომში: ჯგუფი), რომლის შემადგენლობაში შედიან:
 - პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი (მათი არსებობის შემთხვევაში);
 - პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი;

- სასწავლებლის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წარმომადგენელ(ებ)ი;
 - სტუდენტები;
 - კურსდამთავრებულები;
 - როგორც პროფილური, ასევე სხვა დამსაქმებელ(ებ)ი (პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის სურვილის შემთხვევაში);
 - შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელ(ებ)ი (არსებობის შემთხვევაში);
 - უცხოელი სპეციალისტ(ებ)ი (პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის სურვილის შემთხვევაში);
 - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელ(ებ)ი;
 - სხვა წევრი/წევრები.
3. ჯგუფის საქმიანობის ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს ფაკულტეტის და სასწავლებლის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები.
 4. ჯგუფის წევრად შეიძლება შერჩეულ იქნას მაღალი რეიტინგის მქონე სტუდენტები, რომლებსაც დაგროვილი აქვთ არანაკლებ 60 კრედიტისა.
 5. ჯგუფი იქმნება ერთი საგანმანათლებლო პროგრამისთვის.
 6. ჯგუფს თავმჯდომარეობს პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი.
 7. ჯგუფის შემადგენლობას ამტკიცებს რექტორი, აკადემიური საბჭოს შუამდგომლობით ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით.
 8. პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების პროცესში გათვალისწინებულ უნდა იქნას: შრომის ბაზრის მოთხოვნები, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებელთა უკუკავშირი, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები, პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციების შედეგები, ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილება და სხვ.
 9. პროგრამის პირველად სამუშაო ვერსიას შეიმუშავებს შესაბამისი მიმართულების/დარგის/ქვედარგის აკადემიური პერსონალი. აღნიშნულ პროცესს კოორდინირებას უწევს პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები. აკადემიურ პერსონალთან შეთანხმებული პროგრამა განსახილველად გადაეცემა ჯგუფს.
 10. ჯგუფს პროგრამას განსახილველად წარუდგენს პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები. იგი უზრუნველყოფს ჯგუფის წევრების არგუმენტირებული შენიშვნებისა და მოსაზრებების გათვალისწინებას პროგრამის აღწერილობასა და სილაბუსებში ისე, რომ შეიქმნას ხარისხიანი, შრომის ბაზრის ინტერესებზე ორიენტირებული, თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამა.
 11. ჯგუფის წევრები იკრიბებიან საჭიროებისამებრ.
 12. ფაკულტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ან შესაბამისი პროფილის მქონე აკადემიურ პერსონალთან შეჯერებული პროგრამა განსახილველად გადაეცემა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

მუხლი 14. პროგრამის განხორციელების შეფასება, განახლება და განვითარება

1. პროგრამის განხორციელების პროცესს აფასებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დადგენილი წესის მიხედვით.
2. პროგრამის განახლება/პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია განხორციელდეს პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების, ან პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის ინიციატივით, ან ჯგუფის რეკომენდაციების საფუძველზე.
3. ჯგუფი იკრიბება წელიწადში ერთხელ მაინც პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების, ფაკულტეტის დეკანის ან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივით.
4. ჯგუფის თავმჯდომარე გააცნობს ჯგუფის წევრებს პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგებს.
5. ჯგუფის წევრები განიხილავენ პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგებს, გამოთქვამენ მოსაზრებებს და შეიმუშავენ წინადადებებს/რეკომენდაციებს პროგრამის განახლებისა და განვითარების შესახებ (საჭიროების შემთხვევაში).
6. ჯგუფის წევრების მიერ გამოთქმული წინადადებების/რეკომენდაციების საფუძველზე, პროგრამის განახლების, მისი შემდგომი სრულყოფისა და განვითარების მიზნით შეიძლება მომზადდეს პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებები.

მუხლი 15. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

1. პროგრამის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში, რომელიც განთავსდება სასწავლებლის ვებგვერდზე. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში მოცემული უნდა იყოს შემდეგი სახის ინფორმაცია:
 - პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად);
 - უმაღლესი განათლების საფეხური;
 - მიმართულება;
 - მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად);
 - სწავლების ენა;
 - პროგრამის მოცულობა კრედიტებით;
 - პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი;
 - პროგრამაზე დაშვების წინაპირობები;
 - პროგრამის სტრუქტურა;
 - პროგრამის მიზანი;
 - სწავლის შედეგები;
 - სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები;
 - სტუდენტის მიღწევების შეფასება;
 - დასაქმების სფეროები და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა;
 - მატერიალურ-ტექნიკური რესურსი;
 - საკონტაქტო ინფორმაცია და საკონტაქტო პირის მონაცემები(ტელეფონი, ელფოსტა, ვებ-გვერდის მისამართი);

- დამატებითი ინფორმაცია (არსებობის შემთხვევაში).
- 2. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი განახლდება პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.

მუხლი 16. საბაკალავრო პროგრამების დამტკიცების პროცედურა

1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს პროგრამის შესაბამისობას სასწავლებელში არსებულ და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან, ასევე ამ პროცესს უწევს კოორდინირებას. სამსახურის მიერ წერილობით წარმოდგენილი დადებითი დასკვნის შემთხვევაში პროგრამა განსახილველად გადაეცემა ფაკულტეტის საბჭოს.
2. ფაკულტეტის საბჭო განიხილავს პროგრამას და, თანხმობის შემთხვევაში, წარუდგენს მას სასწავლებლის აკადემიური საბჭოს განსახილველად.
3. პროგრამას ამტკიცებს ახალი უმაღლესი სასწავლებლის რექტორი აკადემიურ საბჭოს წარდგინებით.
4. პროგრამაში ცვლილების შეტანა ხდება პროგრამის დამტკიცებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 17. საგანმანათლებლო პროგრამის მიღების, შეცვლისა და გაუქმების წესი

1. სწავლის ხარისხის გაუმჯობესების, პროგრამის დახვეწის, საზოგადოებისათვის უკეთესი მომსახურების შეთავაზების, აგრეთვე ერთი საგანმანათლებლო პროგრამიდან მეორე საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის უზრუნველყოფის მიზნით, სასწავლებელმა შეიძლება მიიღოს, შეცვალოს ან გააუქმოს საგანმანათლებლო პროგრამა, ხოლო სტუდენტმა შესაძლოა გადაწყვიტოს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, სასწავლებლისათვის მნიშვნელოვანია შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა;
2. სასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამის პროექტს შეიმუშავენ ფაკულტეტის საბჭო სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით, რომელიც ადგენს პროგრამის პროექტის შესაბამისობას კანონმდებლობის მოთხოვნებთან, პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების ადექვატურობას პროგრამის მიზნებთან და სწავლების შედეგებთან. ამ პროცედურების გავლის შემდეგ პროექტი განსახილველად წარედგინება აკადემიურ საბჭოს, რომელსაც შემდგომ ამტკიცებს სასწავლებლის რექტორი;
3. პროგრამის შეცვლის შემთხვევაში, სასწავლებელი უზრუნველყოფს თითოეული სტუდენტისათვის შესაბამისობების განსაზღვრას არსებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გავლილი და ახალი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული

სასწავლო კურსებს შორის, ასევე საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტისათვის ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის შესაძლებლობას;

4. შეცვლილ საგანმანათლებლო პროგრამისათვის სტუდენტთან შეთანხმებით დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;

5. დამატებით სემესტრში ინდივიდუალური გეგმით სწავლებისას სტუდენტი გათავისუფლებულია სწავლის გადასახადისგან;

6. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტს სურვილი აქვს სწავლა განაგრძოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სასწავლებელი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიღევად რეჟიმში სწავლებას, ყველა მსურველის გადაყვანის პროცესის დასრულებამდე;

7. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება შესაძლებელია:

ა) იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე არ ირიცხება არც ერთი სტუდენტი;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამა აღარ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს;

გ) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება არ შეესაბამება სასწავლებლის მისიას;

დ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევაში.

პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, სასწავლებელი ვალდებულია პროგრამის გაუქმებამდე აცნობოს ამის შესახებ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, მოახდინოს სტუდენტების ინფორმირება და დეტალურად გააცნოს მათ ინფორმაცია მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მობილობის პროცედურის ყველა აუცილებელი ასპექტის შესახებ.

8. სასწავლებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს სტუდენტის მიერ გავლილი აკადემიური სასწავლო კურსების მაქსიმალური მოცულობით აღიარებას, რისთვისაც სასწავლებელს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

მუხლი 18. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევანის გამჭვირვალობა

1. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების არჩევანის გამჭვირვალობის მიზნით, სტუდენტს შეუძლია და აქვს საშუალება გაეცნოს საგანმანათლებლო (კურიკულუმი) პროგრამას და სასწავლო კურსის პროგრამებს (სილაბუსი);

2. სტუდენტს შეუძლია სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობიდან გამომდინარე, სემესტრის დაწყებამდე, შეთავაზებული არჩევითი სასწავლო კურსებიდან და თავისუფალი სასწავლო კურსებიდან გააკეთოს არჩევანი; ერთადერთ შეზღუდვას წარმოადგენს წინაპირობების დაცვა;

3. სტუდენტის მიერ გაკეთებული არჩევანის დარეგისტრირების ფორმა სასწავლებლის ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაცია.

მუხლი 19. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსები

1. საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სასწავლებლის პროფესორებისა და მოწვეული პერსონალის მიერ;
2. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელად ინიშნება სასწავლებლის აკადემიური ან მოწვეული პერსონალი.

მუხლი 20. საგანმანათლებლო პროგრამების აღიარების ზოგადი პრინციპები

1. საგანმანათლებლო პროგრამის აღიარება გულისხმობს სასწავლებელში ჩარიცხული სტუდენტის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების ფარგლებში მიღწეული სწავლების შედეგების შედარებას სასწავლებლის იმ პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებთან, რომელზედაც სტუდენტი აგრძელებს სწავლას, რის საფუძველზეც სასწავლებელი იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების თავისი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის აღიარების შესახებ;

2. საგანმანათლებლო პროგრამის აღიარების პროცედურის განხორციელების საფუძველზე სასწავლებელი განსაზღვრავს, საგანმანათლებლო პროგრამის რომელ დონეზე (სემესტრში) განაგრძობს სტუდენტი სწავლას და რამდენი კრედიტის დაძლევა არის აუცილებელი შესაბამისი კვალიფიკაციის მისაღებად.

3. აღიარებას ექვემდებარება:

ა) საქართველოს ავტორიზებული/კანონმდებლობით მასთან გათანაბრებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პროგრამები;

ბ) არაავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამა, სტუდენტის მიერ მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლით სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ. ამ შემთხვევაში მიღებული უმაღლესი განათლების სახელმწიფო აღიარებას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის შემთხვევაში, ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი პირობებით;

გ) უცხო ქვეყნის კანონმდებლობით აკრედიტებული ან აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 21. საგანმანათლებლო პროგრამის აღიარების პირობები

1. დაუშვებელია იმ საგანმანათლებლო პროგრამის აღიარება, რომლის დასრულების შედეგად სტუდენტს მინიჭებული აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი შემთხვევებისა;
2. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გაგრძელების შემთხვევაში, სასწავლებელი აღიარებს სტუდენტის მიერ დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გავლილ კრედიტებს, მიუხედავად იმისა, მიენიჭა თუ არა პირს შესაბამისი კვალიფიკაცია;
3. აღიარებას არ ექვემდებარება პროგრამები, რომლებიც, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, არ განეკუთვნება უმაღლესი განათლების პროგრამებს, აგრეთვე უმაღლესი განათლების ის პროგრამები, რომლებზეც ჩარიცხვა არ განხორციელებულა კანონმდებლობით დადგენილი წესით (არაკრედიტებული და თავისუფალი მსმენელის პროგრამები).

მუხლი 22. საგანმანათლებლო პროგრამის აღიარების წესი

1. პროგრამის აღიარება ხდება სტუდენტის მოთხოვნისა და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით;
2. პროგრამის აღიარება შესაძლებელია განხორციელდეს სტუდენტის პირადი საქმის (აკადემიური ცნობის) შესწავლით, აგრეთვე, შესაძლებელია მოიცვას სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების ამსახველი დოკუმენტაციის (კურიკულუმი, სილაბუსები) შინაარსობრივი კვლევა;
3. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ამსახველი დოკუმენტების წარმოდგენის ვალდებულება ეკისრება სტუდენტს. სათანადო დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში სასწავლებელი უფლებამოსილია უარი უთხრას სტუდენტს საგანმანათლებლო პროგრამის აღიარებაზე;
4. პროგრამის აღიარების დროს ხდება პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების შედარება სასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებთან, რომლის საფუძველზეც სასწავლებელი აღიარებს თავისი სასწავლო კურსებით გათვალისწინებულ კრედიტებს;
5. აღიარებას ექვემდებარება სტუდენტის მიერ წინა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გავლილი ის სასწავლო კურსები, რომელთა შესწავლის საგანი და სწავლის შედეგები იდენტურია, ან მთლიანობაში მსგავსია სასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსის სწავლის შედეგებისა;
6. პირის მიერ გავლილი საგნები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული სასწავლებლის პროგრამით, შესაძლებელია აღიარებული იქნეს, როგორც არჩევითი და თავისუფალი სასწავლო კურსები, იმ შემთხვევაში თუ სასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს არჩევით და თავისუფალ სასწავლო კურსებს/კომპონენტს.

მუხლი 23. საგანმანათლებლო პროგრამის აღიარების შედეგები

1. პროგრამის აღიარების შედეგად განისაზღვრება კრედიტების რაოდენობა, რომელიც სტუდენტს უღიარდება ახალი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის;
2. კრედიტების აღიარების შედეგად განისაზღვრება სასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამი სრომელი სემესტრიდან აგრძელებს სწავლას სტუდენტი;
3. ნულოვანი შესაბამისობა პირის მიერ გავლილი პროგრამისა და სასწავლებლის პროგრამას შორის არ ართმევს ამ პირს უფლებას ჩაირიცხოს მიმდებ დაწესებულებში. ასეთ შემთხვევაში იგი ვალდებულია სრულად გაიაროს სასწავლებლის შესაბამისი პროგრამა.

დანართი 2



საბაკალავრო პროგრამა

დამტკიცებულია რექტორის

„-----“ ----- 20-- წ.

--- ბრძანებით

გადაწყვეტილება კრედიტაციის

მინიჭების შესახებ:

„-----“ ----- 20-- წ.

--- ბრძანებით

ბოლო ცვლილება:

„-----“ ----- 20-- წ.

--- ბრძანებით

საგანმანათლებლო პროგრამა: ქართულად / ინგლისურად

უმაღლესი განათლების საფეხური: I საფეხური, ბაკალავრიატი

მიმართულება:

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

სწავლების ენა:

პროგრამის მოცულობა (ECTS):

პროგრამის ხელმძღვანელი:

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამის მიზანი:

სწავლის შედეგები:

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

სტუდენტის მიღწევების შეფასება:

პროგრამის შესაბამისობა მისიასთან:

დასაქმების სფეროები და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა:

შენიშვნა: საგანმანათლებლო პროგრამას დამატებითი ინფორმაცია ერთვის დანართების სახით და წარმოადგენს პროგრამის განუყოფელ ნაწილს

დანართები

სასწავლო გეგმა

სასწავლო კურსების სწავლის შედეგების-კომპეტენციების რუკა

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა

სწავლის შედეგების კურიკულუმის რუკა

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა

საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი:

მატერიალურ-ტექნიკური რესურსი:

დანართი 3

სასწავლო გეგმა

#	სასწავლო კომპონენტი	წინაპირობები	კრედიტები	საათები	საათების განაწილება							სასწავლო სემესტრები							
					საკონტაქტო საათები							I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
					ლექცია	ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მუშაობა		ზუსტად გამოცდა	დასველით გამოცდა	სულ საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი მუშაობის საათები								
1	2	3	4	5	6	7		8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19
1. ინგლისური ენის კომპონენტი (სავალდებულო) – ... კრედიტი																			
1.1																			
1.2																			
1.3																			
1.4																			
1.5																			
1.6																			
2. საერთო სავალდებულო სასწავლო კურსები – ... კრედიტი																			
2.1																			
2.2																			
3. საერთო არჩევითი სასწავლო კურსები – ... კრედიტი																			
3.1																			
3.2																			

3.3																			
4. სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები -... კრედიტი																			
4.1																			
4.2																			
4.3																			
4.4																			
4.5																			
4.6																			
4.7																			
4.8																			
4.9																			
4.10																			
4.11																			
4.12																			
4.13																			
4.14																			
4.15																			
4.16																			
4.17																			
4.18																			
4.19																			
4.20																			
4.21																			
4.22																			

4.23																		
4.24																		
4.25																		
4.26																		
4.27																		
4.28																		

5. სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები: 48 კრედიტი

5.1																		
5.2																		
5.3																		
5.4																		
5.5																		
5.6																		
5.7																		
5.8																		
5.9																		
5.10																		
5.11																		
5.12																		
5.13																		
5.14																		
5.15																		
5.16																		

X

5.17													
5.18													
5.19													
5.20													
5.21													
5.22													

შენიშვნა:

დანართი 4

სილაბუსი

პროგრამის სახელწოდება

უმაღლესი განათლების საფეხური

სასწავლო კურსის სახელწოდება

ქართულად / ინგლისურად

სასწავლო კურსის სტატუსი

სწავლების სემესტრი

სწავლების ენა

წინაპირობები

ECTS კრედიტი

სტუდენტის სასწავლო დატვირთვა

საკონტაქტო საათი		
დამოუკიდებელი მუშაობის საათი		
საკონტაქტო საათების განაწილება		
ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა		I- VIII, X-XVI
შუალედური გამოცდა:		IX
დასკვნითი გამოცდა:		XVII / XVIII

სილაბუსის ავტორ(ებ)ი, განმახორციელებელი/განმახორციელებლები

გვარი, სახელი:	
თანამდებობა:	
ტელეფონი:	
ელ-ფოსტა:	

კონსულტაცია

კონსულტაციების მიღება შესაძლებელია კონსულტაციების ცხრილის შესაბამისად, ლექციისთვის განკუთვნილი დროის დასრულების შემდეგ (სასწავლო აუდიტორიაში), ასევე ელექტრონულად (ელექტრონული სასწავლო ბაზისა და ელ-ფოსტის მეშვეობით).

სასწავლო კურსის მიზანი

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

დასკვნის უნარი

კომუნიკაციის უნარი

სწავლის უნარი

ღირებულებები

სწავლება-სწავლის მეთოდი

ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება და სხვ., რომლებიც მოიცავენ შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია და სხვ.);

მეთოდების განმარტება იხ. ვებ-გვერდზე: <http://newuni.edu.ge/swavleba-swavlismetodebi.html>

შინაარსი

ყოველკვირეული მუშაობის განრიგი		
თემატიკა	სასაწ. კვირა	სთ
პირველი ლექცია, ჯგუფში მუშაობა სილაბუსის გაცნობა. თემა	პირველი კვირა	ლ-1სთ, ჯგ.მ.-2სთ
	ლიტერატურა:	
	შეფასება:	
მე-2 ლექცია, ჯგუფში მუშაობა თემა	მე-2 კვირა	ლ-1სთ, ჯგ.მ.-2სთ
	ლიტერატურა:	
	შეფასება:	
მე-3 ლექცია, ჯგუფში მუშაობა თემა	მე-3 კვირა	ლ-1სთ, ჯგ.მ.-2სთ
	ლიტერატურა:	
	შეფასება:	
მე-4 ლექცია, ჯგუფში მუშაობა	მე-4 კვირა	ლ-1სთ, ჯგ.მ.-2სთ
	ლიტერატურა:	

თემა	შეფასება:	
მე-5 ლექცია, ჯგუფში მუშაობა	მე-5 კვირა	ლ-1სთ, ჯგ.მ.-2სთ
თემა	ლიტერატურა:	
	შეფასება:	
მე-6 ლექცია, ჯგუფში მუშაობა	მე-6 კვირა	ლ-1სთ, ჯგ.მ.-2სთ
თემა	ლიტერატურა:	
	შეფასება:	
მე-7 ლექცია, ჯგუფში მუშაობა	მე-7 კვირა	ლ-1სთ, ჯგ.მ.-2სთ
თემა	ლიტერატურა:	
	შეფასება:	
მე-8 ლექცია, ჯგუფში მუშაობა	მე-8 კვირა	ლ-1სთ, ჯგ.მ.-2სთ
თემა	ლიტერატურა:	
	შეფასება:	
მე-9 კვირა შუალედური გამოცდა (2 საათი) I-VIII კვირას შესწავლილი მასალის მიხედვით		
მე-9 ლექცია, ჯგუფში მუშაობა	მე-10 კვირა	ლ-1სთ, ჯგ.მ.-2სთ
შუალედური გამოცდის შედეგების განხილვა-ანალიზი.	ლიტერატურა:	
თემა	შეფასება:	
მე-10 ლექცია, ჯგუფში მუშაობა	მე-11 კვირა	ლ-1სთ, ჯგ.მ.-2სთ
	ლიტერატურა:	

თემა	შეფასება:	
მე-11 ლექცია, ჯგუფში მუშაობა	მე-12 კვირა	ლ-1სთ, ჯგ.მ.-2სთ
თემა	ლიტერატურა:	
	შეფასება:	
მე-12 ლექცია, ჯგუფში მუშაობა	მე-13 კვირა	ლ-1სთ, ჯგ.მ.-2სთ
თემა	ლიტერატურა:	
	შეფასება:	
მე-13 ლექცია, ჯგუფში მუშაობა	მე-14 კვირა	ლ-1სთ, ჯგ.მ.-2სთ
თემა	ლიტერატურა:	
	შეფასება:	
მე-14 ლექცია, ჯგუფში მუშაობა	მე-15 კვირა	ლ-1სთ, ჯგ.მ.-2სთ
თემა	ლიტერატურა:	
	შეფასება:	
მე-15 ლექცია, ჯგუფში მუშაობა	მე-16 კვირა	ლ-1სთ, ჯგ.მ.-2სთ
თემა	ლიტერატურა:	
	შეფასება:	
მე-17 - მე-18 კვირა - დასკვნითი გამოცდა (3 საათი) მოიცავს სემესტრის განმავლობაში შესწავლილ მასალას.		

მე-19 - მე - 20 კვირა - დამატებითი გამოცდა

შუალედური დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდებს შორის - არანაკლებ 5 დღისა.

სტუდენტის მიღწევების შეფასება

სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით, რომელიც წარმოადგენს შუალედური შეფასებების (მაქსიმალური 60 ქულა) და დასკვნითი გამოცდის შეფასების (მაქსიმალური 40 ქულა) ჯამს. შუალედურ შეფასებებში მოიაზრება: შუალედური გამოცდის (სავალდებულო კომპონენტი) შეფასება, სემესტრის განმავლობაში სტუდენტის აქტივობების (მიმდინარე) შეფასებები, მათ შორის, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, რეფერატის/ნაშრომის მომზადება-წარდგენის შეფასება და სხვ., რომლებსაც აქვთ თავისი წილი შუალედური შეფასებების 60 ქულის ფარგლებში.

100 ქულა	
შუალედური შეფასებები:	60 ქულა
შუალედური გამოცდა	30 ქულა
მიმდინარე შეფასებები:	30 ქულა
დასკვნითი შეფასება / გამოცდა	40 ქულა

დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც გამოცდის ჩატარების მომენტისთვის აქვს აქტიური სტატუსი.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით. კერძოდ:

ხუთი სახის დადებითი შეფასება:

- (A) ფრიადი – შეფასების 91 – 100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

ორი სახის უარყოფითი შეფასება:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შენიშვნა:

- დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა დასკვნით გამოცდამდე შუალედური შეფასებების მაქსიმალური 60 ქულიდან მინიმუმ 21 ქულის დაგროვება. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება სტუდენტს, თუ მან დასკვნით გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური შეფასების 50/%, ანუ მაქსიმალური 40 ქულიდან მინიმუმ 20 ქულა;
- დასკვნითი გამოცდის გადაბარება შესაძლებელია იმავე სემესტრში, დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს სტუდენტს, რომელსაც შუალედური და დასკვნითი შეფასებების დაჯამებით უგროვდება არანაკლებ 41 ქულა;
- საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში, რაც გათვალისწინებული იქნება დასკვნითი გამოცდის გადაბარების (დამატებითი გამოცდის) ცხრილით;
- სტუდენტს უფლება აქვს გადააბაროს შუალედური და დასკვნითი გამოცდა მხოლოდ ერთხელ, შუალედური და დასკვნითი გამოცდის გადაბარება ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში აღდგენა შესაძლებელია ლექტორთან და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით;
- სტუდენტს აქვს უფლება გავიდეს დამატებით შუალედურ/დასკვნით გამოცდაზე საპატიო მიზეზით (ჯანმრთელობის უეცარი გაუარესება, სასწრაფო ჰოსპიტალიზაცია, უბედური შემთხვევა ან/და სხვა ობიექტური გარემოება) შუალედურ/დასკვნით გამოცდაზე გამოუხადებლობის შემთხვევაში.

შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები

მიმდინარე შეფასებები	სემესტრში - . . . მიმდინარე შეფასება (ჯამში - მაქსიმუმ 30 ქულა).
შუალედური გამოცდა	შუალედური გამოცდის მაქსიმალური შეფასება შეადგენს 30 ქულას . საგამოცდო კითხვარი შედგება . . . კომპონენტისაგან, შეფასებები ნაწილდება შემდეგნაირად:

დასკვნითი გამოცდა	დასკვნითი გამოცდის შედეგების მაქსიმალური შეფასება შეადგენს 40 ქულას . საგამოცდო კითხვარი შედგება . . . კომპონენტისაგან, შეფასებები ნაწილდება შემდეგნაირად:
--------------------------	---

შენიშვნა:

- შეფასების კომპონენტებში მითითებული „რაოდენობა“ წარმოადგენს სემესტრის განმავლობაში ამ კონკრეტულ კომპონენტში თითოეული სტუდენტის შეფასებების რაოდენობას;
- აპელაცია - სტუდენტს აქვს უფლება გაასაჩივროს მიღებული შეფასება შეფასების შედეგების გაცნობიდან ორი სამუშაო დღის ვადაში. დეტალური ინფორმაცია იხილეთ ახალი უმაღლესი სასწავლებლის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში.

სავალდებულო ლიტერატურა

ლიტერატურა ხელმისაწვდომია ახალი უმაღლესი სასწავლებლის ბიბლიოთეკაში

დამხმარე ლიტერატურა / სხვა სასწავლო მასალა

ინფორმაცია სტუდენტებისათვის

პლაგიატი – მიუღებელია, საშინაო დავალების პრეზენტაციის ან წერითი ფორმით წარმოდგენისას, სხვისი ნაშრომის, იდეის ან აზრის გამოყენება წყაროს მითითების გარეშე. ასეთ შემთხვევაში, ლექტორი ვალდებულია, შეფასების გარეშე დატოვოს სტუდენტის დავალება.

გადაწერა/კარნაზი – აღნიშნული ქმედება იკრძალება ნებისმიერი ტიპის აქტივობის (საშინაო დავალება, გამოცდა, რეფერატი, პრეზენტაცია...) დროს. ასეთ შემთხვევაში, ლექტორი ვალდებულია შეფასების გარეშე დატოვოს სტუდენტები.

ქცევა – სტუდენტის ქცევა არ უნდა შეიცავდეს სასწავლო პროცესის ხელისშემშლელ ელემენტებს. იკრძალება მობილური ტელეფონის, მუსიკალური მოსასმენის (აიპოდი და სხვ.) ლექციის მსვლელობისას გამოყენება. სასწავლო პროცესის ჩაშლის მცდელობის შემთხვევაში ლექტორი ვალდებულია მოხსნას სტუდენტი მეცადინეობიდან.



სილაბუსის შედგენის ინსტრუქცია

სასწავლო კურსის/პროგრამის კომპონენტის პროგრამა (სილაბუსი) - დოკუმენტი, რომელიც იძლევა ინფორმაციას სასწავლო კურსის მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტების, შინაარსის, სწავლება-სწავლის მეთოდების, შეფასების კრიტერიუმების შესახებ. სილაბუსის ავტორ(ებ)ის/სასწავლო კურსის განმახორციელებელი ლექტორ(ებ)ის ხედვას სასწავლო კურსის სწავლებასთან დაკავშირებით და აწესრიგებს სასწავლო კურსის განმახორციელებელი ლექტორისა და სტუდენტების ურთიერთობას: სასწავლო კურსის სილაბუსი აძლევს სტუდენტს ინფორმაციას სასწავლო კურსის მოცულობის კრედიტებში, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობის, სასწავლო კურსის დაშვების წინაპირობების, მიზნების, დაგეგმილი სწავლის შედეგების, შინაარსისა და სწავლების ფორ-მატის, სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდების, სემესტრის განმავლობაში სტუდენტის დაგეგმილი საქმიანობის და მისი მიღწევების შეფასების სისტემის და კრიტერიუმების, სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის/სხვა სასწავლო მასალის, სტუდენტის მიღწევების შეფასების კომპონენტებისა და კრი-ტერიუმების შესახებ და სხვ. სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ საკანონმდებლო ბაზას და ახალ უმაღლეს სასწავლებელში არსებულ მოთხოვნებს.

პროგრამის სახელწოდება

მიუთითეთ საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება

ბიზნესის ადმინისტრირება ან ტურიზმი ან საერთაშორისო ურთიერთობები

უმაღლესი განათლების საფეხური

მიუთითეთ აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური, კერძოდ:

ბაკალავრიატი

სასწავლო კურსის სახელწოდება

მიუთითეთ როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე

ქართულად / ინგლისურად

სასწავლო კურსის სტატუსი

მიუთითეთ სასწავლო გეგმის მიხედვით

სავალდებულო (ინგლისური ენის კომპონენტი) / საერთო სავალდებულო / საერთო არჩევითი / სპეციალობის სავალდებულო / სპეციალობის არჩევითი

სწავლების სემესტრი

მიუთითეთ რიგითობა სასწავლო გეგმის მიხედვით

I/II/III/IV/V/VI/VII/VIII ან წინაპირობის დაცვით - არჩევითი სასწავლო კურსის შემთხვევაში

სწავლების ენა

მიუთითეთ სასწავლო კურსის სწავლების საჭიროების მიხედვით

ქართული და/ან ინგლისური

წინაპირობები

მიუთითეთ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რომელი სასწავლო კურსის სწავლის შედეგი უნდა ჰქონდეს მიღწეული სტუდენტს, რათა დაშვებულ იქნას მოცემულ სასწავლო კურსზე. მიუთითეთ სასწავლო კურსის სწავლების საჭიროების მიხედვით 1 ან 2 წინაპირობა, რის გარეშეც შეუძლებელია აღნიშნული კურსის სათანადოდ დაუფლება. სასწავლო კურსს შეიძლება არ გააჩნდეს დაშვების წინაპირობა. მაგ.:

წინაპირობის გარეშე

ECTS კრედიტი

კრედიტის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია შემდეგი:

ა) კრედიტი – ესაა ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ;

ბ) ერთი კრედიტი (ECTS) უტოლდება სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 25-30 საათის განმავლობაში და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ საათებს;

გ) ჩვენს შემთხვევაში 1 კრედიტი = 25 საათს, მაგ. 5 კრედიტიანი სასწავლო კურსის შემთხვევაში ჩანაწერს ექნება შემდეგი სახე:

5 კრედიტი, 125 საათი

სტუდენტის სასწავლო დატვირთვა

სასწავლო დატვირთვის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია შემდეგი:

ა) სტუდენტის სასწავლო დატვირთვა – ესაა დრო, რომელიც საჭიროა სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა უნდა ეფუძნებოდეს დამოუკიდებელი მუშაობის და საკონტაქტო საათებს;

ბ) საკონტაქტო საათი – ესაა საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო;

გ) დამოუკიდებელი საათი – ესაა საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო;

დ) 5 კრედიტიანი სასწავლო კურსის შემთხვევაში ჩანაწერს ექნება შემდეგი სახე:

საკონტაქტო საათი	50	
დამოუკიდებელი მუშაობის საათი	75	
საკონტაქტო საათების განაწილება		
ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა	45	I- VIII, X-XVI
შუალედური გამოცდა:	2	IX
დასკვნითი გამოცდა:	3	XVII / XVIII

სილაბუსის ავტორ(ებ)ი, განმახორციელებელი/განმახორციელებლები

გვარი, სახელი:	მიუთითეთ გვარი, სახელი
თანამდებობა:	მიუთითეთ ახალ უმაღლეს სასწავლებელში დაკავებული აკადემიური თანამდებობა: პროფესორი / ასოცირებული პროფესორი / ასისტენტ-პროფესორი / მოწვეული სპეციალისტი
ტელეფონი:	მიუთითეთ საკონტაქტო ინფორმაცია შემდეგი ფორმატით: (+995). . . ; (032). . .
ელ-ფოსტა:	სასურველია ახალი უმაღლესი სასწავლებლის სამსახურებრივი ელ.ფოსტის მითითება

შენიშვნა: ორი და მეტი ავტორის/განმახორციელებლის შემთხვევაში ზემოაღნიშნული გრაფები ივსება ინდივიდუალურად

კონსულტაცია

სტანდარტული ჩანაწერი (კონკრეტული ინფორმაცია მოცემული იქნება ყოველსემესტრულ განახლებად კონსულტაციების ცხრილში):

კონსულტაციების მიღება შესაძლებელია კონსულტაციების ცხრილის შესაბამისად, ლექციისთვის განკუთვნილი დროის დასრულების შემდეგ (სასწავლო აუდიტორიაში), ასევე ელექტრონულად (ელექტრონული სასწავლო ბაზისა და ელ-ფოსტის მეშვეობით).

სასწავლო კურსის მიზანი

მოკლედ და მკაფიოდ აღწერეთ სასწავლო კურსის ძირითადი მიზანი/მიზნები. მიზანი უნდა იყოს სასწავლო კურსის შედეგთან ლოგიკურ კავშირში.

სწავლის შედეგები

მიუთითეთ, რა ცოდნასა და უნარებს შეიძენს სტუდენტი სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ. სასწავლო კურსის სწავლის შედეგი აღწერილი უნდა იყოს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და შესაბამისი დარგობრივი სტანდარტის (არსებობის შემთხვევაში) შესაბამისად იხილეთ დანართი N1

ცოდნა და გაცნობიერება

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

დასკვნის უნარი

კომუნიკაციის უნარი

სწავლის უნარი

ღირებულებები

სწავლება-სწავლის მეთოდი

გასათვალისწინებელია შემდეგი:

ა) სწავლება-სწავლის მეთოდი – ესაა საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პირის მიერ სტუდენტისთვის, ცოდნის გადაცემის საშუალება, როგორიცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება და სხვ., წავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, სემინარი და სხვ.);

ბ) მეთოდები უნდა მიეთითოს/ჩეირჩეს სასწავლო კურსის სპეციფიკისა და სწავლების შედეგად მისაღწევი კომპეტენციების გათვალისწინებით.

მაგალითისათვის, ჩანაწერის ფორმულირება შესაძლებელია შემდეგი სახით:

ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება და სხვ., რომლებიც მოიცავენ შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია და სხვ.);

(მეთოდების განმარტება იხ. ვებ-გვერდზე: <http://newuni.edu.ge/swavleba-swavlismetodebi.html>)

შინაარსი

ყოველკვირეული მუშაობის განრიგი

პირველი კვირის განმარტებები ვრცელდება ყველა სასწავლო კვირაზე

თემატიკა	სასაწ. კვირა	სთ
პირველი ლექცია, ჯგუფში მუშაობა სილაბუსის გაცნობა. (სავალდებულო ჩანაწერი) თემა1. მიუთითეთ თემის დასახელება, სასურველია დაკონკრეტდეს განსახილველი საკითხებიც. მიუთითეთ ჯგუფში მუშაობის აქტივობები (პრაქტიკული სამუშაო, ზეპირი გამოკითხვა, წერიითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, დისკუსია, პრეზენტაცია და სხვა) - სასურველია/შესაძლებელია ჩაიშალოს კონკრეტულად რა საკითხების ირგვლივ და როგორ წარიმართება მუშაობა/აქტივობა.	პირველი კვირა	განმარტება: დაკონკრეტდეს საკონტაქტო საათებიდან რამდენი საათი ეთმობა ლექციას, რამდენი სთ - ჯგუფში მუშაობას, მაგ.: ლ-1 სთ, ჯგ.მ.-2 სთ სავალდებულო ლიტერატურა: ლიტერატურა /სასურველია გვერდების მითითებით/, ვებმისამართები, საჭიროების შემთხვევაში ნორმატიული მასალა და სხვ. გარდა სავალდებულო ლიტერატურისა, საჭიროებისამებრ, შესაძლებელია მიეთითოს სხვა სასწავლო მასალა. მაგ., [1], გვ.5 -18; [2], გვ. 10-17; 22-26 განმარტება: ა)მიუთითეთ მხოლოდ ჯგუფში მუშაობის დროს გამოყენებული აქტივობის (პრაქტიკული სამუშაო, ზეპირი გამოკითხვა, წერიითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, დისკუსია, პრეზენტაცია და სხვა,) შეფასებისათვის განკუთვნილი ქულა; ბ)შესაძლებელია რამოდენიმე აქტივობის კომბინაცია - სასურველია ერთიდაიმავე აქტივობას მიენიჭოს ყველგან ერთიდაიგივე ქულა, წინააღმდეგ შემთხვევაში შეფასების კრიტერიუმები უნდა გაიწეროს ცალ-ცალკე. გ) შესაძლებელია არ იქნას გამოყენებული ყოველკვირეული შეფასება; დ) სემესტრის მანძილზე შეფასებების ჯამი არ უნდა აღემატებოდეს 30 ქულას. შეფასება: . . . ქულა

მე-2 ლექცია, ჯგუფში მუშაობა თემა	მე-2 კვირა	ლ-1სთ, ჯგ.მ.-2სთ
	სავალდებულო ლიტერატურა:	
	შეფასება:	
მე-3 ლექცია, ჯგუფში მუშაობა თემა	მე-3 კვირა	ლ-1სთ, ჯგ.მ.-2სთ
	სავალდებულო ლიტერატურა:	
	შეფასება:	
მე-4 ლექცია, ჯგუფში მუშაობა თემა	მე-4 კვირა	ლ-1სთ, ჯგ.მ.-2სთ
	სავალდებულო ლიტერატურა:	
	შეფასება:	
მე-5 ლექცია, ჯგუფში მუშაობა თემა	მე-5 კვირა	ლ-1სთ, ჯგ.მ.-2სთ
	სავალდებულო ლიტერატურა:	
	შეფასება:	
მე-6 ლექცია, ჯგუფში მუშაობა თემა	მე-6 კვირა	ლ-1სთ, ჯგ.მ.-2სთ
	სავალდებულო ლიტერატურა:	
	შეფასება:	
მე-7 ლექცია, ჯგუფში მუშაობა თემა	მე-7 კვირა	ლ-1სთ, ჯგ.მ.-2სთ
	სავალდებულო ლიტერატურა:	
	შეფასება:	
მე-8 ლექცია, ჯგუფში მუშაობა თემა	მე-8 კვირა	ლ-1სთ, ჯგ.მ.-2სთ
	სავალდებულო ლიტერატურა:	
	შეფასება:	

მე-9 კვირა		
შუალედური გამოცდა (2 საათი) I-VIII კვირას შესწავლილი მასალის მიხედვით		
მე-9 ლექცია, ჯგუფში მუშაობა შუალედური გამოცდის შედეგების განხილვა-ანალიზი. (სავალდებულო ჩანაწერი) თემა	მე-10 კვირა	ლ-1სთ, ჯგ.მ.-2სთ
	სავალდებულო ლიტერატურა:	
	შეფასება:	
მე-10 ლექცია, ჯგუფში მუშაობა თემა	მე-11 კვირა	ლ-1სთ, ჯგ.მ.-2სთ
	სავალდებულო ლიტერატურა:	
	შეფასება:	
მე-11 ლექცია, ჯგუფში მუშაობა თემა	მე-12 კვირა	ლ-1სთ, ჯგ.მ.-2სთ
	სავალდებულო ლიტერატურა:	
	შეფასება:	
მე-12 ლექცია, ჯგუფში მუშაობა თემა	მე-13 კვირა	ლ-1სთ, ჯგ.მ.-2სთ
	სავალდებულო ლიტერატურა:	
	შეფასება:	
მე-13 ლექცია, ჯგუფში მუშაობა თემა	მე-14 კვირა	ლ-1სთ, ჯგ.მ.-2სთ
	სავალდებულო ლიტერატურა:	
	შეფასება:)	
მე-14 ლექცია, ჯგუფში მუშაობა თემა	მე-15 კვირა	ლ-1სთ, ჯგ.მ.-2სთ
	სავალდებულო ლიტერატურა:	

	შეფასება:	
მე-15 ლექცია, ჯგუფში მუშაობა თემა	მე-16 კვირა	ლ-1სთ, ჯგ.მ.-2სთ
	სავალდებულო ლიტერატურა:	
	შეფასება:	
მე-17 - მე-18 კვირა - დასკვნითი გამოცდა (3 საათი) მოიცავს სემესტრის განმავლობაში შესწავლილ მასალას.		
მე-19 - მე - 20 კვირა - დამატებითი გამოცდა შუალედი დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდებს შორის - არანაკლებ 5 დღისა.		

სტუდენტის მიღწევების შეფასება

განმარტება: შეფასების სისტემა დადგენილია ახალი უმაღლესი სასწავლებლის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით

სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით, რომელიც წარმოადგენს შუალედური შეფასებ(ებ)ის (მაქსიმალური 60 ქულა) და დასკვნითი გამოცდის შეფასების (მაქსიმალური 40 ქულა) ჯამს. შუალედურ შეფასებებში მოიაზრება: შუალედური გამოცდის (სავალდებულო კომპონენტი) შეფასება, სემესტრის განმავლობაში სტუდენტის აქტივობების (მიმდინარე) შეფასებები, მათ შორის, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, რეფერატის/ნაშრომის მომზადება-წარდგენის შეფასება და სხვ., რომლებსაც აქვთ თავისი წილი შუალედური შეფასებების 60 ქულის ფარგლებში.

100 ქულა	
შუალედური შეფასებები:	60 ქულა
შუალედური გამოცდა	30 ქულა
	30 ქულა
	... ქულა

მიმდინარე შეფასებები: ზეპირი გამოკითხვა წერიტი გამოკითხვა პრეზენტაცია შენიშვნა: მოდიფიცირდეს სილაბუსში მითითებული შეფასებადი აქტივობების შესაბამისად	... ქულა ... ქულა
დასკვნითი შეფასება / გამოცდა	40 ქულა

დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც გამოცდის ჩატარების მომენტისთვის აქვს აქტიური სტატუსი.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით. კერძოდ:

ხუთი სახის დადებითი შეფასება:

- (A) ფრიადი – შეფასების 91 – 100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

ორი სახის უარყოფითი შეფასება:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შენიშვნა:

- დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა დასკვნით გამოცდამდე შუალედური შეფასებების მაქსიმალური 60 ქულიდან მინიმუმ 21 ქულის დაგროვება. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება სტუდენტს, თუ მან დასკვნით გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური შეფასების 50/%, ანუ მაქსიმალური 40 ქულიდან მინიმუმ 20 ქულა;
- დასკვნითი გამოცდის გადაბარება შესაძლებელია იმავე სემესტრში, დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს სტუდენტს, რომელსაც შუალედური და დასკვნითი შეფასებების დაჯამებით უგროვდება არანაკლებ 41 ქულა;
- საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში, რაც გათვალისწინებული იქნება დასკვნითი გამოცდის გადაბარების (დამატებითი გამოცდის) ცხრილით;
- სტუდენტს უფლება აქვს გადააბაროს შუალედური და დასკვნითი გამოცდა მხოლოდ ერთხელ, შუალედური და დასკვნითი გამოცდის გადაბარება ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში აღდგენა შესაძლებელია ლექტორთან და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით;
- სტუდენტს აქვს უფლება გავიდეს დამატებით შუალედურ/დასკვნით გამოცდაზე საპატიო მიზეზით (ჯანმრთელობის უეცარი გაუარესება, სასწრაფო ჰოსპიტალიზაცია, უბედური შემთხვევა ან/და სხვა ობიექტური გარემოება) შუალედურ/დასკვნით გამოცდაზე გამოუხადებლობის შემთხვევაში.

შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები

მიმდინარე შეფასებები	ა) მიმდინარე შეფასების კომპონენტები გამოიყენეთ სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით; ბ) შეფასებების რაოდენობა და ქულები შესაბამისობაში უნდა იყოს ყოველკვირეული მუშაობის განრიგში წარმოდგენილ ინფორმაციასთან და სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებების ჩაშლასთან. მაგ.: გ) სავალდებულოა დეტალურად გაიწეროს შეფასების კრიტერიუმები თითოეული შეფასებადი აქტივობისთვის. დ) სასწავლო კურსის სილაბუსის ავტორი განსაზღვრავს სტუდენტის მიღწევების შეფასების მეთოდებს, კრიტერიუმებს, შეფასების კომპონენტის ქულებს და მათი რანჟირების სისტემას და ამ ინფორმაციას ასახავს სასწავლო კურსის სილაბუსში. სემესტრში - . . . მიმდინარე შეფასება (ჯამში - მაქსიმუმ 30 ქულა). დისკუსიაში ჩართულობა - სულ . . . დისკუსია: თითოეული ფასდება . . . ქულით. შეფასების კრიტერიუმებია:
------------------------------------	---

	... ზეპირი გამოკითხვა - სულ ... გამოკითხვა: თითოეული ფასდება ... ქულით შეფასების კრიტერიუმებია: ... წერითი გამოკითხვა - სულ ... გამოკითხვა: თითოეული ფასდება ... ქულით შეფასების კრიტერიუმებია: ... წერილობითი საკითხი - სულ ... დავალება: თითოეული ფასდება ... ქულით შეფასების კრიტერიუმებია: ... პრაქტიკული ხასიათის დავალებები (ქეისები; სავარჯიშოები) - სულ ... დავალება: შეფასების კრიტერიუმებია: ... პრეზენტაცია - სულ , მაქსიმალური შეფასება - ქულა. შეფასების კრიტერიუმებია: ... სხვა ...
შუალედური გამოცდა	მიუთითეთ შუალედური გამოცდის კომპონენტები ქულების მიხედვით და თითოეული კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები 30 ქულის ფარგლებში. სასურველია კომპონენტის რაოდენობა იყოს მინიმუმ 2.

	<i>სტანდარტული ჩანაწერი:</i> შუალედური გამოცდის მაქსიმალური შეფასება შეადგენს 30 ქულას. საგამოცდო კითხვარი შედგება 3 კომპონენტისაგან, შეფასებები ნაწილდება შემდეგნაირად: შენიშვნა: სასწავლო კურსის სილაბუსის ავტორი განსაზღვრავს სტუდენტის მიღწევების შეფასების მეთოდებს, კრიტერიუმებს, შეფასების კომპონენტის ქულებს და მათი რანჟირების სისტემას და ამ ინფორმაციას ასახავს სასწავლო კურსის სილაბუსში. შეფასების კომპონენტები, კრიტერიუმები და ქულების რანჟირება შეიძლება იყოს, მაგალითად შემდეგი:
დასკვნითი გამოცდა	განმარტება: მიუთითეთ დასკვნითი გამოცდის კომპონენტები ქულების მიხედვით და თითოეული კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები 40 ქულის ფარგლებში. სასურველია კომპონენტის რაოდენობა იყოს მინიმუმ 2. <i>სტანდარტული ჩანაწერი:</i> დასკვნითი გამოცდის შედეგების მაქსიმალური შეფასება შეადგენს 40 ქულას. საგამოცდო კითხვარი შედგება . . . კომპონენტისაგან, შეფასებები ნაწილდება შემდეგნაირად: ... შენიშვნა: იხილეთ შუალედური გამოცდის კომენტარები

სტანდარტული ჩანაწერი:

შენიშვნა:

- შეფასების კომპონენტებში მითითებული „რაოდენობა“ წარმოადგენს სემესტრის განმავლობაში ამ კონკრეტულ კომპონენტში თითოეული სტუდენტის შეფასებების რაოდენობას;

- აპელაცია - სტუდენტს აქვს უფლება გაასაჩივროს მიღებული შეფასება შეფასების შედეგების გაცნობიდან ორი სამუშაო დღის ვადაში. დეტალური ინფორმაცია იხილეთ ახალი უმაღლესი სასწავლებლის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში.

სავალდებულო ლიტერატურა

სასურველია ლიტერატურა იყოს მითითებული შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

წიგნი: ავტორი, სახელწოდება, გამომცემლობა, გამოცემის წელი და ადგილი

სტატია: ავტორი, სათაური, გვერდები, ჟურნალის სახელწოდება/კრებულის სათაური, წელი, ნომერი
ნორმატიული აქტი: სახელწოდება, მიღების თარიღი, რედაქცია

რიდერი: რიდერის ნომერი (რიდერები უნდა იყოს დანომრილი სასწავლო კვირების მიხედვით).

რიდერის მითითების შემთხვევაში, გთხოვთ რიდერები მიაწოდოთ ბიბლიოთეკას.

არ ხართ შეზღუდულები მიუთითოთ ვებ-გვერდი, სადაც შესაძლებელია შესაბამისი ლიტერატურის ელექტრონული სახით მოძიება.

თქვენს მიერ მითითებული ლიტერატურა გააჩნია თუ არა ბიბლიოთეკას შეამოწმეთ ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგის მეშვეობით მისამართზე: <http://newuni.edu.ge/lib/opac/>

სტანდარტული ჩანაწერი:

ლიტერატურა ხელმისაწვდომია ახალი უმაღლესი სასწავლებლის ბიბლიოთეკაში.

დამხმარე ლიტერატურა / სხვა სასწავლო მასალა

სასურველია ლიტერატურა იყოს მითითებული შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

წიგნი: ავტორი, სახელწოდება, გამომცემლობა, გამოცემის წელი და ადგილი

სტატია: ავტორი, სათაური, გვერდები, ჟურნალის სახელწოდება/კრებულის სათაური, წელი, ნომერი
ნორმატიული აქტი: სახელწოდება, მიღების თარიღი, რედაქცია

რიდერი: რიდერის ნომერი (რიდერები უნდა იყოს დანომრილი სასწავლო კვირების მიხედვით).

რიდერის მითითების შემთხვევაში, გთხოვთ რიდერები მიაწოდოთ ბიბლიოთეკას.

ვებ-მისამართი:

ინფორმაცია სტუდენტებისათვის

სტანდარტული ჩანაწერი:

პლაგიატი – მიუღებელია, საშინაო დავალების პრეზენტაციის ან წერითი ფორმით წარმოდგენისას, სხვისი ნაშრომის, იდეის ან აზრის გამოყენება წყაროს მითითების გარეშე. ასეთ შემთხვევაში, ლექტორი ვალდებულია შეფასების გარეშე დატოვოს სტუდენტის დავალება.

გადაწერა/კარნახი – აღნიშნული ქმედება იკრძალება ნებისმიერი ტიპის აქტივობის (საშინაო დავალება, გამოცდა, რეფერატი, პრეზენტაცია...) დროს. ასეთ შემთხვევაში, ლექტორი ვალდებულია შეფასების გარეშე დატოვოს სტუდენტები.

ქცევა – სტუდენტის ქცევა არ უნდა შეიცავდეს სასწავლო პროცესის ხელისშემშლელ ელემენტებს. იკრძალება მობილური ტელეფონის, მუსიკალური მოსასმენის (აიპოდი და სხვ.) ლექციის მსვლელობისას გამოყენება. სასწავლო პროცესის ჩაშლის მცდელობის შემთხვევაში ლექტორი ვალდებულია მოხსნას სტუდენტი მეცადინეობიდან



ზოგადი მოთხოვნები საგანმანათლებლო პროგრამისადმი

საგანმანათლებლო პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს ახალი უმაღლესი სასწავლებლის მისიას. ახალი უმაღლესი სასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამები ადგენენ ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოპოვების პირობებს და წარმოადგენენ სასწავლო კურსების ერთობლიობას, რომელიც მიმართულია კურსდამთავრებულისათვის დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების გამომუშავებაზე უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის და დარგობრივი მახასიათებლის (არსებობის შემთხვევაში) დონით, რაც აუცილებელია პირის შემდგომ საფეხურზე სწავლის და/ან მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის. მისანიჭებელი კვალიფიკაცია უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრულ უმაღლესი განათლების მიმართულებებს, დარგებს/სპეციალობებს ან/და ქვედარგებს/სპეციალიზაციებს;

ახალი უმაღლესი სასწავლებელი ახორციელებს პირველი საფეხურის (ბაკალავრიატის) საგანმანათლებლო პროგრამებს;

ბაკალავრიატი – უმაღლესი აკადემიური განათლების I საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობის საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია პირის მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის და მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის.

ბაკალავრიატში სწავლის მიზანია: შესაბამისი სპეციალობის საფუძვლების სწავლება, სრულ ზოგად განათლებაზე უფრო მაღალი დონის მომზადებასთან ერთად სასწავლო დისციპლინების თეორიული ასპექტების შედარებით ღრმა ათვისება, რაც ამზადებს პირს მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისა და მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით;

საბაკალავრო პროგრამის მოცულობა, ECTS: მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტისა, რაც ნაწილდება პროგრამის ყველა კომპონენტს შორის. სტუდენტის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს. პროგრამის სპეციფიკიდან ან/და სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან (გეგმიდან) გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა. პროგრამით სწავლების/სწავლის ვადაა 8 სემესტრი;

პროგრამის სწავლის შედეგები: უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სწავლის შედეგები დაფუძნებულია სრული ზოგადი განათლების სწავლის შედეგებზე. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა აღმწერით და დარგობრივი მახასიათებლებით (არსებობის შემთხვევაში) განისაზღვრება უმაღლესი განათლების I საფეხურზე (ბაკალავრიატში) მისაღწევი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების დონე, რაც მოიცავს 6 კრიტერიუმს: ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, დასკვნის უნარი, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი, ღირებულებები;

ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა 240 კრედიტის დაგროვება პროგრამით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

საერთო მოთხოვნები საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისადმი:

- პროგრამა უნდა იყოს დამტკიცებული უფლებამოსილი ორგანოს მიერ;
- პროგრამა უნდა იყოს შედგენილი ევროპული კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, ჰქონდეს თანმიმდევრული, კანონმდებლობით დადგენილის შესაბამისი სტრუქტურა;

- პროგრამაზე მიღების წინაპირობები უნდა იყოს გამჭვირვალე და უზრუნველყოფდეს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას;
- პროგრამის მიზნები უნდა შეესაბამებოდეს სასწავლო უნივერსიტეტის მისიას, იყოს ნათლად ჩამოყალიბებული, ორიენტირებული დასაქმების ბაზარზე და მიღწევადი;
- პროგრამით სწავლის შედეგები უნდა იყოს აღწერილი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით და შეესაბამებოდეს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს (ბაკალავრიატის საფეხურს) და კონკრეტულ დარგობრივ მახასიათებლებს (არსებობის შემთხვევაში) და უნდა უზრუნველყოფდეს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე;
- პროგრამის ყველა კომპონენტი უნდა იყოს ასახული პროგრამის სასწავლო გეგმაში. პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები უნდა იყოს ლოგიკური და თანმიმდევრული. ახალ უმაღლეს სასწავლებელში ყველა სასწავლო კურსი არის ერთსემესტრიანი. პროგრამის კომპონენტის კრედიტების მოცულობა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მეცადინეობის საათების რაოდენობა და მათი თანაფარდობა, დაგეგმილი მიზნები და სწავლის შედეგები, პროგრამის კომპონენტის შინაარსი და მისი შესწავლის ფორმატი, სწავლების მეთოდები და სტუდენტთა მიღწევების შეფასების სისტემა, სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა და სხვ. უნდა იყოს ურთიერთშესაბამისი, უზრუნველყოფდეს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის (ბაკალავრიატის) აღწერის და დარგობრივი მახასიათებლების (არსებობის შემთხვევაში) სათანადო დონით.
- პროგრამის აღწერილობას (კურიკულუმს) თან უნდა დაერთოს პროგრამის სასწავლო გეგმით განსაზღვრული ყველა სავალდებულო და არჩევითი კომპონენტის სილაბუსი.

პროგრამის მოცულობა კრედიტებით:

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა განისაზღვრება არანაკლებ 240 კრედიტით.
- ახალ უმაღლეს სასწავლებელში უნივერსიტეტში აკადემიური წელი შედგება ორი სასწავლო სემესტრისგან, თითოეული სემესტრი შედგება 20 კვირისგან. ბაკალავრიატში სწავლის ხანგრძლივობა (ძირითადი ვადა) არის 8 სემესტრი;
- სტუდენტის დატვირთვა აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს (სემესტრში - 30 კრედიტი). სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა. სასწავლო უნივერსიტეტში ერთი კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს;
- პროგრამის კრედიტები ნაწილდება სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პროგრამის ყველა კომპონენტს შორის. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებია - ძირითადი სპეციალობა (სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები, პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომი), და თავისუფალი კომპონენტი (არასპეციალობის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები და/ან ე.წ. „თავისუფალი კრედიტები“ - სხვა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამიდან არჩეული სასწავლო კურსები).

საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის ნიმუში

შენიშვნა: ნიმუშებში არსებული ჩანაწერები არ ატარებენ სავალდებულო ხასიათს, პროგრამის კურიკულუმის შემუშავებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ნიმუშებში მითითებული, ისე განსხვავებული მონაცემები.

საბაკალავრო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება

დამტკიცებულია რექტორის

„-----“ ----- 20--- წ.

--- ბრძანებით

გადაწყვეტილება კრედიტაციის

მინიჭების შესახებ:

„-----“ ----- 20--- წ.

--- ბრძანებით

ბოლო ცვლილება:

„-----“ ----- 20--- წ.

--- ბრძანებით

საგანმანათლებლო პროგრამა: ქართულად / ინგლისურად

ბიზნესის ადმინისტრირება (Business Administration)

პროგრამის სახელწოდება დასაშვებია არ ემთხვეოდეს მისანიჭებელ კვალიფიკაციას, მაგრამ უნდა შეესაბამებოდეს მას შინაარსობრივად;

უმაღლესი განათლების საფეხური: I საფეხური, ბაკალავრიატი

მიმართულება: კოდის მითითებით ბიზნესის ადმინისტრირება - 02

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ქართულად / ინგლისურად

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი (Bachelor of Business Administration)

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი (კვალიფიკაცია) უნდა შეესაბამებოდეს ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს;

კურსდამთავრებულისთვის მინიჭებული კვალიფიკაცია ასახავს საგანმანათლებლო პროგრამის შესწავლით მიღწეულ შედეგს - კურსდამთავრებულის დარგობრივ და ტრანსფერულ კომპეტენციებს, რომელიც შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურისთვის კვალიფიკაციების აღწერით და შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლით (არსებობის შემხვევაში) დადგენილ დონეს და დასტურდება უსდ-ს მიერ გაცემული დიპლომით. პროგრამის კურსდამთავრებულის კომპეტენციები უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სწავლის შედეგებს, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოსა და შესაბამის დარგობრივ დოკუმენტზე დაყრდნობით.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს – „ბაკალავრი“ შესაბამისი მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით.

სწავლების ენა: ქართული

უნდა მიეთითოს რომელ ენაზე ხორციელდება პროგრამა. პროგრამის ან მისი ცალკეული კომპონენტის უცხო ენაზე განხორციელების შემთხვევაში უნდა აღინიშნოს ამის შესახებ;

პროგრამის მოცულობა (ECTS): 240 ECTS (8 სემესტრი. ერთი სემესტრი მოიცავს 20 კვირას. ერთი აკადემიური წელი 2–სემესტრიანია და მოიცავს საშუალოდ 60 ECTS კრედიტს, საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა (ერთი კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს).

პროგრამების მოცულობა კრედიტებით - საბაკალავრო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს. საბაკალავრო პროგრამის ძირითად სპეციალობას უნდა დაეთმოს არანაკლებ 120 კრედიტისა;

პროგრამის ხელმძღვანელი: სახელი, გვარი, აკადემიური

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს პროგრამის შესაბამის დარგში დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ან/და პროფესიული/პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირი სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორთა შემადგენლობიდან. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს პროგრამის შემუშავების, მოდიფიცირების/ცვლილებების შეტანის ორგანიზებას, სტუდენტების დახმარებას საგანმანათლებლო პროგრამასთან, პროგრამის სპეციფიკასთან, პროგრამის სასწავლო კურსებთან/კომპონენტებთან დაკავშირებულ საკითხებზე და სხვ. საგანმანათლებლო პროგრამას, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება ჰყავდეს რამდენიმე ხელმძღვანელი, რომლებიც აკმაყოფილებენ ზემოთ მითითებულ მოთხოვნებს. უმაღლესი

საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართულია აკადემიური პერსონალი - პროფესორები, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორები და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტები. უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში, როგორც აკადემიური პერსონალი, შეიძლება იყოს ჩართული ასისტენტი, რომელიც პროფესორის, ასოცირებული ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით, ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: წინამდებარე პროგრამაზე სტუდენტი დაიშვება საქართველოს

კანონმდებლობით დადგენილი წესით. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების (რანჟირების დოკუმენტის) საფუძველზე, გარდა უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვა ხდება „უმაღლესი განათლების შესახებ კანონის“ შესაბამისად (მუხლი 52, პუნქტი 3): აბიტურიენტების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია

უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ახალი უმაღლესი სასწავლებლის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ განსაზღვრული პირობების შესაბამისად: „უცხო ქვეყნის მოქალაქის სასწავლებელში ქართულენოვან პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში, იგი ვალდებულია ქართული ენის ცოდნის დადგენის მიზნით, გაიაროს გასაუბრება. გასაუბრების ვიდეოჩანაწერის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სასწავლებელი.

1) უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე - ბაკალავრიატში - სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები (გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისის შემთხვევებისა);

2) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა შესაძლებელია ასევე ახალი უმაღლესი სასწავლებლის უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამებიდან და სხვა უსდ-დან მობილობით

გადმოსული სტუდენტებისთვის, რაც განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების და ახალ უმაღლეს სასწავლებელში არსებული რეგულაციების შესაბამისად. უსდ უფლებამოსილია დააწესოს ამა თუ იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა დაშვების დამატებითი წინაპირობები/კრიტერიუმები (მაგ. ამა თუ იმ უცხო ენის ცოდნა გარკვეულ დონეზე და/ან სხვ.).

პროგრამის სტრუქტურა

..... საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას აქვს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული (ძირითადი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტი - არასპეციალობის/საერთო სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები და ე.წ. „თავისუფალი კრედიტები“), თანმიმდევრული სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს ცოდნის გადაცემას პრინციპით: ზოგადიდან კერძოსკენ, მარტივიდან რთულისაკენ. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 240 კრედიტში მოიაზრება:

➤ სავალდებულო ნაწილი . . . კრედიტი (. . . კრედიტი - არასპეციალობის კომპონენტი: . . . კრედიტი საკომუნიკაციო კომპეტენციებზე მიმართული არასპეციალობის სასწავლო კურსები და . . . კრედიტი ინგლისური ენის კომპონენტი; . . . კრედიტი - სპეციალობის კომპონენტი, მათ შორის: . . . კრედიტი სასწავლო კურსები, . . . კრედიტი პრაქტიკა) ➤ არჩევითი ნაწილი . . . კრედიტი (სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სპეციალობის არჩევითი და საერთო არჩევითი (არასპეციალობის არჩევითი) სასწავლო კურსები, სხვა საბაკალავრო პროგრამ(ებ)იდან აღებული ე.წ. „თავისუფალი კრედიტები“). დარგობრივი კომპეტენციების განვითარებაზე მიმართული სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების, ტრანსფერულ კომპეტენციებზე მიმართული არასპეციალობის/საერთო არჩევითი სასწავლო კურსებისა და/ან სხვა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)იდან სასწავლო კურსების („თავისუფალი კრედიტების“) კონცენტრაციით სტუდენტს შეუძლია თავისთვის სასურველი ინდივიდუალური პროფილის ფორმირება – კურსდამთავრებულის კომპეტენციები წარმოადგენს პროგრამით გათვალისწინებული არასპეციალობის და სპეციალობის სავალდებულო კომპონენტების და სწავლის პერიოდში სტუდენტის მიერ არჩეული სასწავლო კურსების მეშვეობით მიღწეული კომპეტენციების აკადემიური ხარისხი - ერთობლიობას. კვალიფიკაცია „ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი“ - ენიჭება წინამდებარე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის შესაბამისად არანაკლებ 240 კრედიტის დაგროვების და პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების შედეგად.

✓ საერთო სავალდებულო სასწავლო კურსების კომპონენტი (. . . კრედიტი) ორიენტირებულია წერიითი და ვერბალური კომუნიკაციური უნარების განვითარებაზე და ინფორმაციის მოძიებაგადაცემის მიზნით საინფორმაციო - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სათანადოდ გამოყენების უნარის გამომუშავებაზე; ✓ ინგლისური ენის კომპონენტი (. . . კრედიტი) ორიენტირებულია უცხოური, კერძოდ ინგლისური ენის სწავლების უზრუნველყოფაზე და მშობლიურ ენასთან ერთად კიდევ ერთ, საერთაშორისო ენაზე კომუნიკაციის ხელშეწყობაზე სპეციალობისათვის დამახასიათებელი ტერმინოლოგიის გამოყენებით. ინგლისურენოვანი უცხოენოვანი წყაროების სწავლისა და სწავლების პროცესში ფართოდ გამოყენებაზე, ინტერნაციონალიზაციის ელემენტის გაძლიერებაზე; ✓ საერთო არჩევითი სასწავლო კურსების კომპონენტი (. . . კრედიტი) ორიენტირებულია სტუდენტთა მსოფლმხედველობის გაფართოებაზე, ღირებულებათა ფორმირების პროცესის სტიმულირებაზე, აბსტრაქტული, ანალიტიკური, ლოგიკური აზროვნების სტიმულირებაზე, არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარის განვითარებაზე;

✓ სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების კომპონენტი (. . . კრედიტი) ორიენტირებულია ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით არსებული თეორიებისა და პრინციპების, სფეროსათვის დამახასიათებელი და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის შესახებ ფართო ცოდნის მიცემაზე, სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერების ხელშეწყობაზე, პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების პროცესში სფეროს ფარგლებში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, შეძენილი ცოდნის მუდმივად განახლების უნარის სტიმულირებაზე, პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელი ღირებულებების ფორმირებაზე; ✓ სპეციალობის სავალდებულო პრაქტიკის კომპონენტი (. . . კრედიტი) ორიენტირებულია სწავლის პროცესში მოპოვებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულ რეალიზაციაზე, გამომუშავებული უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებაზე. აღნიშნული კომპონენტი შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს აკადემიურ გარემოში მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენების გამოცდილება; ✓ სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები (. . . კრედიტი) ორიენტირებულია სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში შეძენილი ფართო ცოდნის სტუდენტის ინტერესების შესაბამისი კონკრეტული მიმართულებით გაღრმავებაზე.

მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების ლოგიკური თანმიმდევრობა განსაზღვრავს საბაკალავრო პროგრამის შინაარსს, მის სტრუქტურას და ასახულია სასწავლო გეგმაში (დანართი 1).

სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების არჩევა ხდება საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებულია სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების შესწავლის წინაპირობები და მათი ლოგიკური თანმიმდევრობა. სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების ფარგლებში შეუძლია სტუდენტს აირჩიოს თავისუფალი სასწავლო კურსები ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამიდან, შესაბამისი სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობის გათვალისწინებით.

შენიშვნა: თუ სტუდენტი ვერ შეძლებს 4 აკადემიური წლის, ანუ 8 სემესტრის განმავლობაში პროგრამის სავალდებულო კომპონენტების დაძლევას და მინიმუმ 240 კრედიტის მოპოვებას, მას ეძლევა შესაძლებლობა 4 დამატებითი სემესტრის განმავლობაში ამოწუროს პროგრამა და მოიპოვოს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

პროგრამის მიზანი:

უნდა მიეთითოს პროგრამის მიზნები, რომელიც უკავშირდება კურსდამთავრებულისთვის უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერით დადგენილი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების გამომუშავებას, მისი შემდგომი სწავლის გაგრძელების და დასაქმების უზრუნველყოფას. პროგრამის მიზნები უნდა იყოს მიმართული კურსდამთავრებულის კომპეტენციების გამომუშავებასა და დასაქმების სფეროს განსაზღვრაზე;

სწავლის შედეგები:

პროგრამით დასახული მიზნების თანმიმდევრული და სრულფასოვანი განხორციელება უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატის) კვალიფიკაციათა აღმწერის შესაბამისი სწავლების შედეგების (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების) მიღწევას, კერძოდ:

ცოდნა და გაცნობიერება	
-----------------------	--

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	
დასკვნის უნარი	
კომუნიკაციის უნარი	
სწავლის უნარი	
ღირებულებები	

სწავლის შედეგად ითვლება კომპეტენციების ერთობლიობა, რომლითაც განისაზღვრება, თუ რა იცის, რას აცნობიერებს და რისი გაკეთება შეუძლია კურსდამთავრებულს. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერს და დარგობრივ მახასიათებელს (არსებობის შემთხვევაში) და აღწერილი იყოს დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციების მეშვეობით: ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, დასკვნის უნარი, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი, ღირებულებები;

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

სტუდენტზე და შრომის ბაზარზე ორიენტირებული სწავლების განხორციელებისთვის და საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პირის მიერ სტუდენტისთვის, ცოდნის გადაცემის საშუალება გამოიყენება სწავლება სწავლის სხვადასხვა მეთოდი: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება და სხვ. სწავლება - სწავლის მეთოდები

მოიცავს შესაბამის აქტივობებს (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, შემთხვევის ანალიზი (Case study), წერიტი და ვერბალური, წიგნზე მუშაობა, ანალიზი, სინთეზი, ახსნა-განმარტებითი და სხვ. მეთოდები); სწავლების პროცესში შესაძლებელია ამა თუ იმ მეთოდისთვის პრიორიტეტის მინიჭება და მეთოდების კომბინირება, სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდის ან მეთოდთა კომბინაციის შერჩევა დამოკიდებულია ცალკეული სასწავლო კურსის სპეციფიკაზე, დასახულ მიზნებსა და სწავლის შედეგებზე. პროგრამის კომპონენტების სწავლებისას გამოყენებული მეთოდები მითითებულია შესაბამის სილაბუსებში, მათი განმარტებები კი განთავსებულია სასწავლებლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.newuni.edu.ge

სწავლების პროცესში გამოყენებული მეთოდების მითითებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სასწავლო პროცესის მარგულირებული დებულება და ახალი უმაღლესი სასწავლებლის ვებგვერდზე განთავსებული სწავლისა და სწავლების მეთოდების განმარტებები. პროგრამის კომპონენტების შესწავლისას გამოყენებული მეთოდები უნდა შეესაბამებოდეს კომპონენტის სპეციფიკას.

სტუდენტის მიღწევების შეფასება:

სტუდენტის მიღწევების შეფასება უნდა შეესაბამებოდეს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სისტემას და პროგრამის კომპონენტის სპეციფიკას. შეფასების მეთოდების მითითებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სასწავლო პროცესის მარგულირებული დებულება.

პროგრამის შესაბამისობა მისიასთან:

აღწერეთ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა უსდ-ს მისიასთან.

დასაქმების სფეროები და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა:

დასაქმების სფეროები: მითითებული დასაქმების სფერო უნდა შეესაბამებოდეს საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას, მიზნებს, შინაარსს, სტრუქტურას და კურსდამთავრებულის კომპეტენციებს. პროგრამის შემუშავებისას უნდა განისაზღვროს ის კონკრეტული თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები, რომლებიც მოეთხოვება კურსდამთავრებულს შრომის ბაზრის კონკრეტული სფეროს მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად;

სწავლის გაგრძელების საშუალება: უნდა მიეთითოს, თუ რომელ საფეხურზე შეძლებს კურსდამთავრებული სწავლის გაგრძელებას. მითითებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს პროგრამის სპეციფიკა, კურსდამთავრებულის კომპეტენციები და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები;

შენიშვნა: საგანმანათლებლო პროგრამას დამატებითი ინფორმაცია ერთვის დანართების სახით და წარმოადგენს პროგრამის განუყოფელ ნაწილს

დანართები

დანართი 1

სასწავლო გეგმა

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში ასახული უნდა იყოს პროგრამის ყველა სავალდებულო და არჩევითი კომპონენტი (სასწავლო კურსი, პრაქტიკა, საბაკალავრო ნაშრომი და სხვ.), და ე.წ. „თავისუფალი კრედიტების“ ნაწილი (მათი არსებობის შემთხვევაში) შესაბამისი კრედიტების, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების, დაშვების წინაპირობების, სტატუსის და სემესტრების მითითებით;

დანართი 2

სასწავლო კურსების სწავლის შედეგების-კომპეტენციების რუკა

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების/პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგების რუკა;

დანართი 3

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა

ერთი მიზნის გასწვრივ შეიძლება დაიიწეროს შედეგების ნუსხა ან პირიქით. მთავარია მიზანი ფარავდეს ყველა სწავლის შედეგს.

დანართი 4

სწავლის შედეგების კურიკულუმის რუკა

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების/პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგების რუკა;

დანართი 5

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა

ყველა სწავლის შედეგი უნდა გაიზომოს, მასში მონაწილეობს მხოლოდ სავალდებულო კომპონენტი;
სასწავლო კურსები ლაგდება ქრონოლოგიურად. იმ სასწავლო კურსებს, რომლებიც მონაწილეობენ მოცემული შედეგის ფორმირებაში, დაესმევა „პტიჩკა“.

დანართი 6

საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი:

პროგრამის ადამიანური რესურსი: უნდა მიეთითოს ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის და მოწვეული სპეციალისტების შესახებ;

დანართი 7

მატერიალურ-ტექნიკური რესურსი:

პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: უნდა მიეთითოს შესაბამისი კომპიუტერული რესურსები, ბიბლიო-თეკა და სხვ. მატერიალური რესურსი, რომელიც შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას და მისი საგანმანათლებლო პროგრამის სრულფასოვანი განხორციელებისათვის.

სახლი უმაღლესი სასწავლებელი



NEW HIGHER EDUCATION INSTITUTE

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

1. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის ყველა პუნქტი:

არის შევსებული	☐
არ არის შევსებული	☐
არ არის შევსებული შემდეგი პუნქტები:	
არ არის სრულყოფილად შევსებული შემდეგი პუნქტები:	
რეკომენდაცია:	

2. პროგრამით სწავლის დასრულების შედეგად მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:

მითითებულია და შეესაბამება კანონმდებლობას	☐
მითითებულია, მაგრამ არ შეესაბამება კანონმდებლობას	☐
მითითებული არ არის	☐
რეკომენდაცია:	

3. პროგრამის ECTS, კრედიტების შესაბამისობა კანონმდებლობით განსაზღვრულ რაოდენობასთან:

შეესაბამება მოთხოვნებს (არანაკლებ 240 კრედიტი)	☐
არ შეესაბამება მოთხოვნებს	☐
რეკომენდაცია:	

4. პროგრამაზე სტუდენტთა მიღების წინაპირობების შესაბამისობა კანონმდებლობით დადგენილ და უსდ-ს მიერ განსაზღვრულ პირობებთან:

განსაზღვრულია და შეესაბამება	☐
განსაზღვრულია, მაგრამ არ შეესაბამება	☐

არ არის განსაზღვრული	☐
რეკომენდაცია:	

5. პროგრამის მიზნები:

აღწერილია დეტალურად	☐
აღწერილია ზოგადად და ბუნდოვნად	☐
აღწერილი არ არის	☐
რეკომენდაცია:	

6. პროგრამის მიზნების შესაბამისობა უსდ-ს მისიასთან:

სრულად შეესაბამება	☐
შეესაბამება ნაწილობრივ	☐
არ შეესაბამება	☐
რეკომენდაცია:	

7. პროგრამის სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს ბაკალავრიატის საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერსა და კონკრეტულ დარგობრივ სტანდარტებთან (რეგულირებადი სპეციალობის შემთხვევაში):

აღწერილია დეტალურად და სრულად შეესაბამება	☐
აღწერილია, მაგრამ არსებობს შეუსაბამობა	☐
აღწერილია, მაგრამ არასრულად	☐
არ შეესაბამება	☐
არ არის აღწერილი	☐
რეკომენდაცია:	

8. პროგრამის მიზნებისა და მისაღწევი შედეგების ურთიერთშესაბამისობა:

სრულად შეესაბამება	☐
შეესაბამება ნაწილობრივ	☐
არ შეესაბამება	☐
რეკომენდაცია:	

9. პროგრამის სტრუქტურა:

პროგრამის სტრუქტურა შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს	☐
---	--------------------------

პროგრამის სტრუქტურა არ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს	☐
პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია	☐
პროგრამის სტრუქტურა არ არის თანმიმდევრული	☐
პროგრამის საერთო კრედიტები (240 კრედიტი) განაწილებულია ყველა კომპონენტს შორის	☐
პროგრამის საერთო კრედიტები (240 კრედიტი) არ არის განაწილებული ყველა კომპონენტს შორის	☐
პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს როგორც სავალდებულო, ისე არჩევით კომპონენტს	☐
პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს მხოლოდ სავალდებულო კომპონენტს	☐
რეკომენდაცია:	

10. პროგრამის სასწავლო გეგმა:

სასწავლო გეგმაში სავალდებულო და არჩევითი კომპონენტი: სრულად არის მითითებული არ არის სრულად მითითებული	☐ ☐
სასწავლო გეგმის მიხედვით პროგრამის კომპონენტის კრედიტების ჯამური რაოდენობა: შეესაბამება პროგრამის მოცულობას არ შეესაბამება პროგრამის მოცულობას	☐ ☐
პროგრამის კომპონენტების სტატუსი (სავალდებულო/არჩევითი): არის მითითებული არ არის მითითებული	☐ ☐
პროგრამის კომპონენტზე დაშვების წინაპირობები: არის მითითებული არ არის მითითებული	☐ ☐
პროგრამის ყველა კომპონენტის: კრედიტების რაოდენობა არის მითითებული კრედიტების რაოდენობა არ არის მითითებული საკონტაქტო/დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა არის მითითებული საკონტაქტო/დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა არ არის მითითებული	☐ ☐ ☐ ☐
არჩევითი კომპონენტი ითვალისწინებს: არჩევით სასწავლო კურსებს და „თავისუფალ კრედიტებს“	☐ ☐

მხოლოდ არჩევით სასწავლო კურსებს მხოლოდ „თავისუფალ კრედიტებს“	☐
მხოლოდ არჩევითი სასწავლო კურსების შეთავაზების შემთხვევაში – მათი კრედიტების ჯამური რაოდენობა:	
აღებატება არჩევითი კომპონენტისთვის განსაზღვრული კრედიტის რაოდენობას და უზრუნველყოფს არჩევანის შესაძლებლობას	☐
არ აღებატება არჩევითი კომპონენტისთვის განსაზღვრული კრედიტის რაოდენობას და ვერ უზრუნველყოფს არჩევანის შესაძლებლობას	☐
სასწავლო გეგმაში სწავლების ორგანიზების თავისებურებები (საკონტაქტო/დამოუკიდ. მუშაობა):	
არის ასახული	☐
არ არის ასახული	☐
რეკომენდაცია:	

11. პროგრამის კომპონენტების შესაბამისობა პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებთან:

სრულად შეესაბამება	☐
შეესაბამება ნაწილობრივ	☐
არ შეესაბამება	☐
რეკომენდაცია:	

12. სასწავლო კურსები/პროგრამის კომპონენტები, რომლებიც არ შეესაბამება პროგრამით დასახულ მიზნებსა და სწავლის შედეგებს და ამოსაღებია კურიკულუმიდან

სასწავლო კურსი/პროგრამის კომპონენტი:
მიზეზი:
რეკომენდაცია:

13. პროგრამის (სასწავლო კურსების/პროგრამის კომპონენტების) სწავლების ფორმები:

უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების მიღწევას	☐
საჭიროებს სრულყოფას	☐
ვერ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების მიღწევას	☐
რეკომენდაცია:	

14. პროგრამის სწავლების მეთოდები (სასწავლო კურსების/პროგრამის კომპონენტების სწავლების მეთოდების ერთობლიობა):

უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას	☐
--	--------------------------

საჭიროებს სრულყოფას	☐
ვერ უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას	☐
რეკომენდაცია:	

15. სტუდენტთა დატვირთვა:

სასწავლო გეგმის მიხედვით სტუდენტის სემესტრული დატვირთვა არის: ყველა სემესტრში 30 კრედიტი ზოგიერთ სემესტრში 30 კრედიტზე მეტი ზოგიერთ სემესტრში 30 კრედიტზე ნაკლები	☐ ☐ ☐
სასწავლო გეგმის მიხედვით სტუდენტის წლიური დატვირთვა არის: ყველა აკადემიურ წელს 60 კრედიტი ზოგიერთ აკადემიურ წელს 75 კრედიტზე მეტი ზოგიერთ აკადემიურ წელს 60 კრედიტზე ნაკლები	☐ ☐ ☐
შეესაბამება თუ არა სტუდენტთა ჯამური დატვირთვა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების ოდენობას (240 კრედიტი): შეესაბამება არ შეესაბამება	☐ ☐
რეკომენდაცია:	

16. სტუდენტის მიღწევების შეფასება:

შეფასების სისტემა: არის აღწერილი არ არის აღწერილი	☐ ☐
შეფასების მეთოდები, ფორმები და კრიტერიუმები: არის აღწერილი არ არის აღწერილი უზრუნველყოფს სტუდენტის მიღწევების სრულფასოვანი შეფასების შესაძლებლობას ვერ უზრუნველყოფს სტუდენტის მიღწევების სრულფასოვანი შეფასების შესაძლებლობას	☐ ☐ ☐ ☐
სტუდენტთა მიღწევების შეფასების სისტემა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას: შეესაბამება სრულად შეესაბამება ნაწილობრივ არ შეესაბამება	☐ ☐ ☐

რეკომენდაცია:

17. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის და პროგრამაში მითითებული დასაქმების სფეროების შესაბამისობა:

მითითებული დასაქმების სფეროები მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის:	
შესაბამისია	☐
შეუსაბამოა	☐
რეკომენდაცია:	

18. პროგრამის შესწავლით შეძენილი ცოდნისა და კომპეტენციების საფუძველზე უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე (მაგისტრატურაში) სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

აძლევს აღნიშნულის შესაძლებლობას	☐
შეუძლებელია, რადგან პროგრამით არ არის უზრუნველყოფილი კანონმდებლობით (მათ შორის, არსებობის შემთხვევაში – დარგობრივი მახასიათებელი) დადგენილი კომპეტენციების მიღწევა	☐
რეკომენდაცია:	

19. პროგრამის სწავლის შედეგად მისაღწევი კომპეტენციების რუკა:

მითითებულია ყველა კომპონენტი (სავალდებულო/არჩევითი)	☐
არ არის მითითებულია ყველა კომპონენტი (სავალდებულო/არჩევითი)	☐
მითითებულია ყველა კომპონენტით მისაღწევი კომპეტენციები	☐
არ არის მითითებული ყველა კომპონენტით მისაღწევი კომპეტენციები	☐
რეკომენდაცია:	

20. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების/პროგრამის კომპონენტების სილაბუსები:

ერთვის ყველა სილაბუსი და მათი შესრულების დონე შეესაბამება მოთხოვნებს	☐
ერთვის ყველა სილაბუსი, მაგრამ ზოგიერთი არის დასახვეწი	☐
არ ერთვის ყველა სილაბუსი	☐
რეკომენდაცია:	

21. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსები:

21.1. პროგრამის განხორციელების მატერიალური რესურსები:

შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას	☐
--	--------------------------

21.2. პროგრამის სასწავლო კურსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურის შესაბამისობა სასწავლო კურსის შინაარსთან და ბიბლიოთეკის წიგნად ფონდთან

21.3. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი (აკადემიური/მოწვეული):

21.4. საკმარისია თუ არა არსებული რესურსები პროგრამის განხორციელებისთვის:

70 | გვერდი

შემაჯამებელი ინფორმაცია

..... საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება მოთხოვნებს	☐
წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ძირითადად შეესაბამება მოთხოვნებს, მაგრამ საჭიროა რამდენიმე კომპონენტის დახვეწა, კერძოდ:	☐
წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა არ შეესაბამება მოთხოვნებს და საჭიროა ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება კერძოდ:	☐
რეკომენდაცია:	

შემფასებელი: _____

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი: _____

თარიღი: _____

ახალი უმაღლესი სასწავლებელი NEW HIGHER EDUCATION INSTITUTE

სასწავლო კურსის სილაბუსის შეფასება

სასწავლო კურსი: _____

საგანმანათლებლო პროგრამა: _____

სასწავლო კურსის ავტორ(ებ)ი: _____

1. სილაბუსის შევსების სისწორე და შეტანილი ინფორმაციის სისრულე

შევსებულია სილაბუსის სტრუქტურის ყველა პუნქტი	☐ დიახ	☐ არა
არ არის შევსებული სილაბუსის სტრუქტურის პუნქტ(ებ)ი, მათ შორის:	☐	
სრულფასოვნად არ არის შევსებული სილაბუსის სტრუქტურის პუნქტ(ებ)ი. მათ შორის:	☐	
მითითებული ინფორმაცია სრულად შეესაბამება სილაბუსის სტრუქტურის შესაბამის პუნქტს	☐	
მითითებული ინფორმაცია ნაწილობრივ შეესაბამება სილაბუსის სტრუქტურის შესაბამის პუნქტს	☐	
მითითებული ინფორმაცია საერთოდ არ შეესაბამება სილაბუსის სტრუქტურის შესაბამის პუნქტს	☐	
მითითებული ინფორმაცია ბუნდოვანია	☐	
რეკომენდაცია:		

2. სასწავლო კურსის წინაპირობები

არის სასწავლო კურსის შესაბამისი	☐
არ არის სასწავლო კურსის შესაბამისი	☐
რეკომენდაცია:	

3. სასწავლო კურსის კრედიტები

მითითებულია საკონტაქტო და დამოუკიდებელი მეცადინეობის საათები	☐
არ არის მითითებული საკონტაქტო მეცადინეობის საათები	☐
არ არის მითითებული დამოუკიდებელი მეცადინეობის საათები	☐
რეკომენდაცია:	

